ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ნიკოლოზ გურციევი

,, რუსეთ-უკრაინის ომი: დაწესებული სანქციები და მათი შედეგები (2022-2023)“

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო მაისურაძე

პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი

მოწვეული ლექტორი

თბილისი

2024 წელი

აბსტრაქტი

2022 წელს რუსეთის მიერ დაწყებულმა ე.წ. ,,სპეციალურმა ოპერაციამ“ მთელი მსოფლიო შეძრა, მოხდა ის რაც დამახასიათებელი იყო ალბათ გასული საუკუნის ომებისათვის. საპასუხოდ აშშ და ევროკავშირმა დააწესეს რუსეთის ფედერაციაზე საერთაშორისო სანქციები, სანქციები მრავალ სფეროს შეეხო, დაწყებული ეკონომიკიდან დამთავრებული კონკრეტული პირებით: *,,ეკონომიკური სანქციების მიზანია, რუსეთის ფედერაციას აგებინოს პასუხი მის ქმედებებზე, და აღკვეთოს რუსეთის შესაძლებლობები აგრესიის გასაგრძელებლად“* (europian council council of europian union, 2023). ომი უკვე თითქმის 2 წელიწადზე მეტია მიმდინარეობს, და რუსეთის გეგმები და მოქმედებები ჯერ-ჯერობით არ შეცვლილა სანქციების დაწესების მიუხედავად. ნაშრომი იკვლევს იმ პრობლემებს რაც დაკავშირებულია საერთაშორისო სანქცირების პოლიტიკის ეფექტურობასთან. შესწავლილი იქნა რუსეთის ფედერაციის საგარეო და საშინაო პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყებიდან, აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობები 2022 წლიდან. შედეგად დადგინდა მიზეზები რაც ხელს უშლის საერთაშორისო სანქციების სრულფასოვნად მოქმედებას: ალტერნატიული ბაზრების არსებობა, რუსეთის ფედერაციის ნახევრად იზოლირება, რუსეთის მიერ შიდა პოლიტიკის გამკაცრება, რიგი ქვეყნების მხრიდან სანქციებში ნახევრად ან საერთოდ არ მონაწილეობა. შედეგად საერთაშორისო სანქციებმა ვერ უზრუნველყო ამ ეტაპზე საჭირო წნეხის წარმოქმნა რუსეთის ფედერაციაზე.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი, სანქციები, რუსეთის საგარეო პოლიტიკა, რუსეთის შიდა პოლიტიკა

სარჩევი

სარჩევი 3

შესავალი 4

თავი №1. ისტორია როგორც ,,მასწავლებელი“ 14

1.1 ,,წარმატებული“ სანქციების პოლიტიკა (ერაყის შემთხვევა: 1990-2003) 14

თავი №2. რუსეთის ფედერაციის გეგმა ,,ბ“ 16

2.1 რუსეთის ინტერესები და მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. 16

2.2 რუსეთის ინტერესები და მდგომარეობა აზიაში 19

2.3 B.R.I.C.S რუსეთისათვის სანქციებისაგან თავის დაღწევის საშუალება?! 20

თავი №3 სანქციების მიუხედავად გაგრძელებული ექსპორტი 22

3.1 სანქციების მიუხედავად გაგრძელებული რუსული ექსპორტი ევროპაში 22

3.2 რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული საერთაშორისო სანქციების პოლიტიკა და საქართველოს როლი ამ პროცესში. 22

3.3 საქართველოში უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში და იმპორტში (2020-2022 წწ.) 23

3.4 საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა მოქალაქეობის მიხედვით: 2015-2022 წლების გრაფიკის მიხედვით 24

თავი №4. რუსეთის ფედერაციის შიდა პოლიტიკა 26

4.1 ზეწოლა კონკრეტულ პირებზე: ინდივიდუალური სანქციები. 26

4.2 რუსეთის მოქალაქეების პოზიცია ომის მიმართ 28

დასკვნა 30

ბიბლიოგრაფია 31

დანართი 35

შესავალი

<u>საკითხის აქტუალობა</u>: 2022 წლის 24 თებერვალი, ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღი აღიბეჭდა სამუდამოდ, დღე როდესაც მოულოდნელად მსოფლიომ შეიტყო ომზე რომელმაც შეცვალა ყოველდღიურობა, 21-ე საუკუნეში პროგრესული ეპოქა, გლობალიზაცია, დიპლომატია, საერთაშორისო ორგანიზაციები, ვაჭრობა, ყოველი ეს ჩამოთვლილი მეტწილად არეგულირებს საერთაშორისო პოლიტიკას, ყოველი კონფლიქტი წყდებოდა დიპლომატიურად ან საერთაშორისო ჩარევით. 24 თებერვალს კი მოხდა ის რაც უფრო გასულ საუკუნეებს ახასიათებდა: რუსეთის შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე. პანდემიისაგან მიყენებული დარტყმისაგან ჯერ კიდევ მეტნაკლებად დასუსტებულ მსოფლიოს დაემატა ომი. რა თქმა უნდა, ამას მოყვა მყისიერი რეაგირება შერთებული შტატების, ევროკავშირის და მათი მოკავშირეების მხრიდან, ისინი ჩაერთნენ ამ კონფლიქტში და იბრძვიან ,,მშვიდობიანი" გზით, ერთის მხრივ, მატერიალური და ფინანსური დახმარების გაწევით უკრაინისათვის მეორეს მხრივ, საერთაშორისო სანქციების დაწესებით რუსეთის ფედერაციისათვის. *<u>,,ეკონომიკური სანქციების მიზანია, რუსეთის ფედერაციას აგებინოს პასუხი მის ქმედებებზე, და აღკვეთოს რუსეთის შესაძლებლობები აგრესიის გასაგრძელებლად"</u>* - აღინიშნება ევროპული საბჭოს ოფიციალურ საიტზე (europian council council of europian union, 2023). ომი უკვე ერთ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს, ამ ეტაპისათვის ,,დასავლეთის მხრიდან" შემუშავდა 11 პაკეტი, რომელიც მოიცავს მრავალ მნიშვნელოვან სფეროს როგორიც არის: ვაჭრობა, ინდუსტრია, ეკონომიკა, ამავე დროს სანქციები შეეხო კონკრეტულ პიროვნებებს, ,,ოლიგარქებს", სახელწმიფო მოხელეებს და თვით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც გასამართლდა ჰააგის სასამართლოს მიერ. შეზღუდვების მიუხედავად რუსული პროდუქცია იყიდება უცხოურ ბაზრებზე, განსაკუთრებით ნავთობის და ხორბლის პროდუქცია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანია, მიღებული შემოსავალი კი მიემართება რუსეთის ხაზინაში, მაგალითად საქართველოსათვის 2021-2022 წლებში რუსეთის ფედერაცია ლიდერ პოზიციებს იკავებდა ნავთობპროდუქტების და ხორბლის/ფქვილის იმპორტის კუთხით. ომი უკვე 590 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, ფრონტის ხაზზი კი პირველი მსოფლიო ომის 1917 წლის დასავლეთის ფრონტს დაემსგავსა, თავისი გრძელი თავდაცვითი ზღუდეებით, სადაც ყოველი წინ წაწევა ორივე მხარისათვის რთულია და დიდ დანაკარგებს იწვევს, შედეგად ფრონტის ხაზი თითქმის უცვლელია.

აღნიშნული ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სანქციებზე, მათ ეფექტურობაზე და პრობლემებზე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიში. თითქმის 2 წელია რაც ომი მძვინვარებს, მრავალი მცდელობების მიუხედავად იქნება ეს სანქციების პაკეტების ზრდა 11-მდე თუ მეტი შეიარაღების მიწოდება უკრაინული მხარისათვის,

კონფლიქტს ბოლო ამ ეტაპისათვი არ უჩანს, არცერთი მხარე არ გეგმავს დათმობაზე წასვლას. ეს ომი არ შეეხეო მხოლოდ ორ სახელმწიფოს, მისი გავლენა იგრძნობა თითქმის მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ფასების ზრდასთან, ინფლაციასთან, უწინდელი სავაჭრო ურთიერთობები აირია რაც გამოწვეულია რუსეთთან სავაჭრო კავშირების გაწყვეტით რაც დღემდე დაუმთავრებელი პროცესია ევროპისათვის. სამაგიეროდ რიგმა რეგიონებმა და ქვეყნებმა ნახეს მოგება სწრაფად ცვლად მსოფლიო დღისწერიგში. აგრეთვე ზემოდ ჩამოთვლილ მიზეზების გამომწვევად შესაძლოა ჩაითვალოს პანდემია, მსოფლიოს ჯერ კიდევ არ მოუშუშებია პანდემიით მიყენებული იარები, კოვიდ 19-მა მძიმე დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას საწარმოების უმრავლესობა დროებით გაჩერდა პროდუქტზე მოთხოვნის კლების და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვის გამო, ბიზნესის შემთხვევაში საქმე ან იგივე დროებით გაჩერებასთან გვქონდა ან თანამშრომლები სახლიდან აგრძელებდნენ მუშაობას, ამ და ასევე სხვა გარემოებებმა 2 წელიწადში მსოფლიო ეკონომიკური ზრდა საგრძნობლად შეამცირა. პანდემია ოფიციალურად 2023 წლის 5 მაისს დამთვრებულად გამოცხადდა, (pfizer, 2023), ომი კი 2022 წლის თებერვალში დაიწყო შედეგად მსოფლიოს მძიმე გამოწვევა შეხვდა წილად.

<u>**მიზნები და ამოცანები:**</u> როგორც ავღნიშნე, ომი უკვე თითქმის 2 წელია მიმდინარეობს და სანქციების მატების მიუხედავად რუსეთის ფედერაცია არ წყვეტს სამხედრო ოპერაციებს ფრონტის ხაზზე რაც ცხადყოფს რომ ამ ეტაპზე რუსეთი არ აპირებს უკან დახევას და კვლავინდებურად ცდილობს მიაღწიოს პირველად მიზანს, 2023 წლის აპრილში, რუსეთის ჯარებმა აიღეს სტრატეგიული ქალაქი ბახმუტი. ამ ეტაპზე სანქციების წნეხის ქვეშ რუსეთის ფედერაცია არ გეგმავს გადახვევას თავისი მთავარი მიზნისაგან. ნაშრომი დაეთმო საერთაშორისო სანქციების გაანალიზებას თუ რამდენად ეფექტურია ამ შემთხვევაში რუსეთ-უკრანის კონფლიქტის მაგალითზე ეს სანქციები. მიზანი მდომარეობდა შემდეგში: ფაქტორების გამოკვეთა, რაც მას ხელს უშლის ფუნქციონირებაში და ასევე შესწავლა, თუ როგორ ახერხებს ,,ზეწოლის ქვეშ“ მყოფი რუსეთი ომის გაგრძელებას.

მაგრამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გეგმა, შეიძლება ითქვას ,,გზა“ რომელიც უნდა განვლოს ნაშრომმა შედეგის მიღებამდე. პირველი ეს არის ისტორია, კაცობრიობის არსებობის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, სწორედ ისტორიიდან მე ნაშრომში გამოვიყენე საერთაშორისო სანქციების გამოყენების მეტ-ნაკლებად წარმატებული მაგალითი, სპარსეთის ყურის ომის დროს ერაყზე დაწესებული საერთაშორისო სანქციები, აღნიშნული შემთხვევა შევადარე რუსეთის ფედერაციის შემთხვევასთან, რათა გამომეკვეთა არსებული განსხვავებები, რითაც შესაძლებელი გახდა კვლევის ფარგლებში ახსნა იმის, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამ ეტაპისათვის პირველადი მიზნის მიღწევა, სანქციების გზით აღიკვეთოს რუსეთის შესაძლებლობები აწარმოოს ომი. მეორე, გამოვყავი ყველა ის მნიშვნელოვანი გარემოება

და აქტორი (სახელმწიფო) რომელიც ხელს უშლის სანქციებს სრულფასოვნად ფუნქციონირებას და რუსეთის ფედერაციას აძლევს საშუალებას დააღწიოს თავის შეზღუდვებს.

<u>საკვლევი კითხვები:</u> ნაშრომი ცდილობს პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

- რატომ არ გამოიღო ის შედეგები სანქცირების პოლიტიკამ რასაც მოელოდნენ დამსანქცირებელი ქვეყნები?
- რატომ აქვს რუსეთის ფედერაციას ჯერ კიდევ ომის წარმოების საშუალება?

<u>ჰიპოთეზა:</u> სანქციების დაწესების მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია სრულად იზოლირებულ მდგომარეობაში არ არის, შეზღუდვების მიუხედავად იგი მაინც განაგრძობს აქტიურად საგარეო ვაჭრობას, შედეგად მიღებული შემოსავლები მას აძლევს საშუალებას შეამსუბუქოს სანქციების ზეწოლა.

რუსეთის ფედერაცია ავტორიტარული სახელმწიფოა და თითოეული სფერო, იქნება ეს ეკონომიკა, პოლიტიკა თუ კანონმდებლობა არის მიმართული და შეცვლილი ამ ომის სიცოცხლისუნარიანობის გასაგრძელებლად, მასთან თანამშრომლობენ ახლო აღმოსავლეთის და აზიის მნიშნელოვანი სახლმწიფოები რითაც პირდაპირ ან ირიბად ხელს უწყობენ რუსეთის ფედერაციას ომის წარმოების გაგრძელებაში.

<u>კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია:</u> სანქციების ზუსტი განმარტების მოძებნა რთულია, რადგან ჯერ-ჯერობით არ არის ისეთი განმარტება რომელიც მოიცავს ყველა ასპექტს რაც ახასიათებს საერთაშორისო სანქციებს. ზოგადად რომ დავახასიათოდ ,,სანქციები“ ეს არის შეზღუდვის ერთ-ერთი მშვიდობიანი სტრატეგია, რომელიც მიმართულია სხვა სახელმწიფოს ან პერსონის მიმართ. ვაჭრობის შეზღუდვა პერსონისათვის/სახელმწიფოსათვის, რათა მან ვერ შეძლოს შეიარაღების შესყიდვა ან ვაჭრობით მოგების მიღება, საერთაშორისო დაფინანსებებზე და ფინანსურ რესურსზე წვდომის შეზღუდვა და ა.შ. მიზანი არის ზემოქმედების/ზეწოლის მოხდენა ობიექტზე რათა მან შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებები და პოლიტიკა (Kessler, 2022), აქედან გამომდინარე რუსეთ-უკრაინის ომზე დაკვირვებით სანქცირების პოლიტიკის მატებასთან ერთად, რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილება გააგრძელოს ომი მაინც არ იცვლება, პირიქით რუსეთის ფედერაცია აქტიურად თანამშრომლობს კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ირანთან, შეიარაღების შესყიდვის თაობაზე, რაც ფრონტზე აღმოჩნეილი მტკიცებულებებით დასტურდება (ირანული ,,შაჰიდის“ ტიპის კამიმაძე დრონები, ჩრდ. კორეული 155 მმ საარტილერიო ჭურვები და ბალისტიკური რაკეტები (Al Jazeera, 2024)). შესწავლილი და მოძიებული იქნა სტატისტიკური

მონაცემები, რომლებიც აჩვენებენ ეკონომიკურ თანამშრომლობას რუსეთსა და სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის 2022 წლის სანქციების დაწესების დღიდან.

<u>**თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია:**</u> სანქციებისადმი მსოფლიოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, სახელმწიფოთა ნაწილი მათი აქტიური მხარდამჭერია, ნაწილი ნეიტრალურ პოზიციაშია, ნაწილი კი მხარს არ უჭერს. ჩნდება კითხვა რატომ აგრძელებენ სხვა სახელმწიფოები რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობას სანქციების მიუხედავად? ან რატომ ვერ ფუნქციონირებენ სანქციები ისე როგორც ჩაფიქრებული იყო? პასუხი შეიძლება გაგვცეს რეალიზმის თეორიამ, რომელიც გამოყენებულია ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ და მისმა რამოდენიმე წარმომადგენელმა. პირველი ვისითაც მსურს დავიწყო არის ჯონ მირშმაიერი და მისი ხუთი ძირითადი მოსაზრება რომლიდანაც მე გამოვიყენებ ოთხს, რეალიზმის დამოკიდებულების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებისადმი.

- საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა
- გაურკვევლობა.
- თვითგადარჩენა
- რაციონალურება

ანარქიულობა ავტორის მოსაზრებით ანარქიულობა გამოწვეულია იმით რომ არ არსებობს ზემდგომი ორგანო სახლემწიფოებზე, შედეგად ისინი როგორც დამოუკიდებელი ერთეულები მოქმედებენ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, **გაურკვევლობა** კეთილმოსურნე თუ მტერი, ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიქნებით დარწმუნებულნი 100% თუ რას მოიმოქმედებს სახელმწიფო ამა თუ იმ შემთხვევაში, ისე როგორც ჩვენ არ შეგვიძლია ჩავიხედოთ ადამიანის გონებაში და გავიგოთ მისი განძრახვები. **თვითგადარჩენა** როგორც ადამიანი სახელმწიფოც მიილტვის თვითგადარჩენისაკენ. **რაციონალურობა** ყოველი ქვეყანა მოქმედებს იქიდან გამომდინარე თუ რა იქნება მათთვის უკეთესი, მაგრამ ესეც კი ყოველთვის არ გამოსდით 100% სწორად (აკობია, 2006). ეს 4 ფაქტორი ნათლად გამოჩნდა ამ მოვლენებში, არ არსებობს ზემდგომი ორგანო, რომელიც შეაჩერებდა რუსეთის ფედერაციას თავის ქმედებებში, უნგრეთის ქმდებები ევროკავშირში, პოლონეთ-უკრაინის უთანხმოებები 2023 წლის პირველ ნახევარში და კიდევ მრავალი მოველენა, რომლის 100% წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, უკრაინა და რუსეთის ფედერაცია, შეიძლება ითქვას იბრძვიან თვითგადარჩენისათვის, ომში წაგება ერთ-ერთისათვის შესაძლოა ან გაქრობის, ან რეჟიმის კრახით დამთავრდეს. ომის მსვლელობის მიუხედავად რუსეთის ფედერაცია აქტიურად განაგრძობს ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი აირის ექსპორტს, ქვეყნისათვის რომელსაც არ გააჩნია საკუთარი რესურსი. რიგი ქვეყნებისათვის რაციონალურია ნავთობის და გაზის შესყიდვა რუსეთის ფედერაციისაგან, რადგან მათთვის იგი უფრო ხელმისაწვდომია ფასის და ლოჯისტიკის

თვალსაზრისით, არსებობენ ისეთი ქვეყნები რომლებიც ვერ ნახულობენ ალტერნატივას (აკობია, 2006).

მეორე ვისითაც მსურს გავაგრძელო კვლევის თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბება არის ჰანს მორგენთაუ, მეოცე საუკუნის გამოჩენილი თეორეტიკოსი რეალიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მისი აზრით ადამიანი არის ბუნებით მზაკვარი, მტაცებელი, რასაც პოლიტიკურ ურთიერთობებზე დაკვირვებით ხსნის, ადამიანს აქვს ლტოლვა პოლიტიკური ძალისადმი რადგან იგი პოლიტიკური ცხოველია, სუვერენული სახელმწიფოც იქმნება იმისათვის რომ ადამიანს შეეძლოს მასში პოლიტიკურად თავისუფალი იყოს, თავისუფალი სხვისი დიქტატისაგან, ჰქონდეს მისი ინტერესები, ,,ადგილი" სადაც იგი უსაფრთხოდ იქნება და თუ საჭირო გახდა დაიცვას ეს ინტერესები. იგი ეწინააღმდეგება იდეას რომ პოლიტიკა უნდა იყოს წარმართული იგივე მორალური და ეთიკური სტანდარტებით როგორიც ადამიანებს აქვთ, მისთვის მნიშვნელოვანია არ იქნეს არეული პირადი და ,,სახალხო" სფეროები. პოლიტიკური ლიდერები ვერ მოქმედებენ პირადი მორალისაგან გამომდინარე, მათზეა დამოკიდებული ერის კეთილდღეობა, უსაფრთხოება, იგი პასუხისმგებელია მათ წინაშე (აკობია, 2006). შედეგად სახელმწიფოები ყოველთვის ყველაზე მომგებიანი არჩევანის გაკეთებას ცდილობენ, ავტორის მოსაზრებით:

„პირადი ინტერესები არის ადამიანური არსების გამომხატველი ფაქტი. ყველა ადამიანის პირადი ინტერესების მინიმუმი არის თვითგადარჩენა და უსაფრთხოება, პოლიტიკა არის არენა სადაც ეს ინტერესები გამოიხატება და ეს ინტერესები აუცილებლად ერთმანეთს შეეჯახება რაც ადრე თუ გვიან გამოიწვევს კონფლიქტს. საერთაშორისო პოლიტიკაც ასევე არის სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების არენა. სახელმწიფოთა ინტერესები კი იცვლება დროში და გარემოში. რეალიზმი არის დოქტრინა, რომელიც რეაგირებას ახდენს ცვალებად პოლიტიკურ რეალობაზე." (აკობია, 2006).

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომი აგებულია თვისებრივი კველვის მეთოდის გამოყენებით, საკითხის თემატიკიდან გამომდინარე გამოყენებული და დამუშავებული იქნა მეორადი მონაცემები ,,თავისუფალი განვითარების ინსტიტუტის" ელექტრონული პლატფორმიდან, კერძოდ შესწავლილი იქნა სტატისტიკური მონაცემები, ეკონომიკის და მიგრაციის კუთხით. აგრეთვე ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი შინაარსობრივი ანალიზი, ეს მეთოდი გამოყენებულია სილვანუს აფესორგბორის და პეტერ ბერგეიჯკის სტატიაში, ***„economic sanctions will hurt russians long before they stop putins war in ukraine" (ეკონომიკური სანქციები დიდი ხნით ადრე დააზარალებს რუსებს ვიდრე პუტინის ომს უკრაინაში შეწყვეტს).*** და ბოლოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხდა არსებული ლიტერატურის ანალიზი.

კვლევის ლიმიტი: საკითხიდან გამომდინარე გეგმაში იყო ექსპერტული ინტერვიუს ჩატარება კვლევისათვის, მქონდა მცდელობა მაგრამ რესპოდენტები არ დამთანხმდნენ სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ლიტერატურის მიმოხილვა: პირველი რითაც მსურს დავიწყო არის სილვანუს აფესორგბორის და პეტერ ბერგეიჯკის სტატიით რომელიც აფასებს სანქციების გავლენას რუსეთის ფედერაციაზე. ეკონომიკური სანქციების ხშირად ითვლება როგორც ალტერნატივა სამხედრო ინტერვენციის, იდეა მდგომარეობს შემდეგში, სანქციებისაგან მიღებული დარტყმა აიძულებს ობიექტს შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებები. (Afesorgbor & Bergeijk, 2022). სანქციების დაწესების პრაქტიკა ხშირია მსოფლიოს ისტორიის მანძილზე, მაგრამ მათი ეფექტურობა ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ე.წ. სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდგომ დაწესებულმა სანქციების ვრცელმა პაკეტმა იშვიათად თუ იქონია გავლენა გადაწყვეტილებების მიღებაზე რუსეთის ფედერაციაში, ომის მსვლელობა დღემდე არ შეჩერებულა. (Afesorgbor & Bergeijk, 2022). თუ ავიღებთ ერაყის ან და საბჭოთა კავშირის მაგალითს ორივე სახელმწიფო იქნა დასანქცირებული მაგრამ არც ერაყმა გადაიფიქრა ქუვეითში შეჭრა და არც საბჭოთა კავშირმა თქვა უარი ავღანეთში შეჭრაზე. 2014 წელს ყირიმში დაკავების შემდგომ რუსეთზე დაწესდა სანქციები ევროკავშირის მხრიდან, ორივე ქვეყნის მშპ-ს თუ შევადარებთ რუსეთს ეს 22%-იანი კლების ფასად დაუჯდა ევროკავშირს კი თითქმის 3% (Afesorgbor & Bergeijk, 2022), მაგრამ სანქციებმა მოსახლეობაში ვერ წარმოშვა უკმაყოფილება, ყირიმის შემთხვევაში ეს მოქმედება გამართლებული იქნა იქაური რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვით. სანქციების დაწესებას ასევე ახლავს მეორე მხარე, დარტყმის ქვეშ ექცევიან უბრალო მოქალაქეები რომლებიც არ უჭერენ მხარს კონფლიქტს, ერაყის და კუბის შემთხვევაში როდესაც მათზე სანქციები დაწესდა, ამან გამოიწვია მოსახლეობის გაღარიბება და სასურსათო კრიზისი. რუსეთის მოქალაქეებმა უკვე დაიწყო ამ მძიმე ტვირთის ტარება, რუბლმა 40% დაკარგა თავისი მსყიდველუნარიანობა. იზოლაციამ მისცა საშუალება ხელისუფლებას მეტად მკაცრად მოეპყრობოდა საწინააღმდეგო აზრს, მაგალითად ოპოზიციის და დემოსნსტრაციების ჩახშობით, შედეგად ავტორები მოგვიწოდებენ, რომ არ უნდა დავივიწყოთ ისინიც ვინც უბრალოდ მსხვერპლნი არიან ამ მოვლენების. (Afesorgbor & Bergeijk, 2022)

საჭიროა ასევე განვიხილოთ ისტორიული გამოცდილება მეორე სტატია რომელსაც განვიხილავ ეკუთვნის პეტერ ბერგეიჯკს, ავტორი განიხილავს ისტორიულ მაგალითებს და პარალელს ავლებს უკრაინის ომთან. ,,ჭკვიანური“ სანქციები ყოვლის მომცველი სტანდარტული სანქციებისაგან განსხვავებით მიზანმიმართულია კონკრეტული ჯგუფების, ინფრასტრუქტურის, ინსტუტუტების ან და პირების შეზღუდვაზე რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას (ამ შემთხვევაში ომი) (bergeijk, 2022). აპარტეიდის წინააღმდეგ 1990 წელს დაწესებული სანქციები, პირველი პერიოდისათვის განიხილებოდნენ წარუმატებლად რადგან სანქციებმა მოიცვა

მხოლოდ მცირე ჩამონათვალი პროდუქტების. აგრეთვე კიდევ ერთი გარემოება, რეჟიმს აპროტესტებდნენ სხვა ქვეყნები მაგრამ ამავე დროს უარს არ ამბობდნენ ოქროს შესყიდვაზე მისგან. სანქციების წარმატება მხოლოდ მაშინ მოვიდა როდესაც ბანკებმა დაინახეს დიდი საფრთხე რეჟიმის დაფინანსების გაგრძელებაში და გადაწყვიტეს ინვესტიციების და კაპიტალის გატანა ქვეყნიდან ამან გამოიწვია ეკონომიკის გაუარესება (bergeijk, 2022). ავტორი ასევე საუბრობს ერაყის შემთხვევაზე რომელიც აღიქმებოდა უპრეცედენტოდ, 4 დღეში მსოფლიომ შეიმუშავა და აამოქმედა მკაცრი ყოვლისმომცველი სანქციები, რომელთა გვერდის ავლაც კი შეუძლებელი იყო, ამან გამოიღო შედეგი ეკონომიკამ მძიმე დარტყმა მიიღო მაგრამ მაინც საჭირო გახდა სამხედრო ინტერვენცია. ალტერნატივის არ არსებობა ეს არის მთავარი პრობლემა რასაც ავტორი ხედავს, ჰუსეინს არ შეეძლო უკან დახევა, ეს გამოიწვევდა მისი იმიჯის დაკნინებას არაბულ სამყაროში, ქვეყნის შიგნით კი მის რეჟიმს არსებობის საფრთხეს შუქმნიდა. რუსეთის ფედერაციაზე დაწესებული სანქციები 2014 წელს იყო მცირე ზომის, ,,ჭკვიანი“ და სამიზნე ობიექტიები იყვნენ მხოლოდ პუტინის გარემოცვა, პოლიტიკოსები და ოლიგარქები. რუსეთი ავტორიტარული სახელმწიფოა ძლიერი პროპაგანდისტული მანქანით, ოლიგარქებს და სახელმწიფო მოხელეებს ევროკავშირის სანქციებზე მეტად პუტინის რისხვის ეშინიათ (bergeijk, 2022). ასევე არ არის შეზღუდული ენეგრო რესურსების ექსპორტი რაც არის უმნიშვნელოვანესი შემოსავლების წყარო რუსეთის ფედერაციისათვის და ბოლოს ამ ომში რუსეთის ფედერაციის დამარცხება მისი იმიჯის შელახვას გამოიწვევს მსოფლიო ასპარესზე, რამაც თავის მხრივ შესაძლოა რეჟიმის დასასრული გამოიწვიოს.

საერთაშიროსო სანქციები ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღი გახდა საერთაშორისო ურთიერთობებში, მათი ეფექტურობა კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ერთი მხრივ ამტკიცებენ რომ სახელმწიფოები ყოველთვის პოულობენ გზას თავი აარიდონ მათ, მეორენი კი ამტკიცებენ რომ მრავალი სტატისტიკა მიუთითებს მათ ეფექტურობაზე, თუ როგორ ზიანს აყენებენ სანქციები ეკონომიკას ამისთვის მოიშველიებენ ციფრებს დასამტკიცებლად (Gutmann, Neuenkirch, & Neumeier, 2022). თითქმის იზოლირებულ მდგომარეობაში მყოფ რუსეთის ფედერაციას სჭირდება ბაზრის დივერსიფიკაცია, რათა მან შესძლოს შენარჩუნება თავისი ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის. აზია, კონკრეტულად კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ეს თითქმის მოწინავე მსოფლიო ეკონომიკა რომელიც მოქმედებს თავისი ინტერესების გათვალისწინებით, მკვლევართა ნაწილი განიხილავს რუსეთის მიერ ჩინეთთან დაახლოების ალბათობას, რაც დაეხმარება მას დააღწიოს თავი იზოლაციის საფრთხეს, ამან შესაძლოა ძირი გამოუთხაროს სანქციების ეფექტურობას, გუტმანის, ნოენკირკის და ნოენმეირეის ნაშრომი ეხება ამ საკითხს, მკვლევრები მოტივირებულნი იყვნენ ვარაუდით რომ, ჩინეთის და რუსეთის ფედერაციის მიერ ხდება ძირის გამოთხრა ,,კოლექტიური“ დასავლეთის მიერ დაწესებული საერთაშორისო სანქციებისათვის, მაგრამ კვლევამ აჩვენა რომ რუსეთის ფედერაცია

სანქციების წნეხის ქვეშ არ ცვლის თავის სავაჭრო სტრატეგიას. (Gutmann, Neuenkirch, & Neumeier, 2022).

აქვე მსურს კაჩმარსკის ნაშრომიდან, რომელიც ეხება რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებს, რამდენიმე მოსაზრება მოვიყვანო. პანდემიის შემდგომ 4 თებერვალს 2022 წელს პირველი შეხვედრა გაიმართა რუსეთის და ჩინეთის პრეზიდენტებს შორის, სი ძინპინმა პუტინს შესთავაზა დახმარება ,,რუსეთის ლეგიტიმურ პრობლემასთან უსაფრთხოების კუთხით“ (Kaczmarski, 2022). მაგრამ რუსეთის უუნარობამ ომის სწრაფი დამთავრებისა, ჩინეთი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. ავტორს მოჰყავს ორი სავარაუდო სცენარი რუსეთ-ჩინეთის მომავალი ურთიერთობების: 1) რუსეთის დამოკიდებულება ჩინეთზე შეზღუდავს რუსეთის ფედერაციის ლავირების შესაძლებლობას საერთასორისო ურთიერთობებში, რაც გახდის მას დამოკიდებულს, მოკავშირედ ჩინეთის მომავალ ჩინეთ-აშშ-ს დაპირისპირებაში; 2) ამ სცენარით რუსეთი შეინარჩუნებს თავის დამოუკიდებელ პოზიციას, განაგრძობს ანტი-დასავლურ პოლიტიკას მაგრამ დარჩება იზოლირებულ დასუსტებულ პოზიციაში ეკონომიკური თვალსაზრისით (Kaczmarski, 2022). რუსეთის ფედერაციასა და ჩინეთს შორის განვითარების დონით ასიმეტრიული მდგომარეობაა, 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდგომ რუსეთმა ვერ შესძლო ისე სწრაფად აღდგენა როგორც ეს ჩინეთმა მოახერხა (Kaczmarski, 2022). ასიმეტრიის მიუხედავად რუსეთმა და ჩინეთმა გამართა წვრთნები როგორც აზიაში ასევე შავ ზღვაში სადაც მონაწილეობა მიიღეს ორივე ქვეყნის სამხედროებმა, ეს იყო გზავნილი რომ ისინი უჭერენ ერთმანეთს მხარს თავიანთ ტერიტორიულ მისწრაფებებში. რუსეთს შესწევს ძალა დაეხმაროს ჩინეთს როგორც მეტნაკლებად პოლიტიკურად ასევე სამხედრო კუთხით, ჩინეთს კი გააჩნია დახმარების შესაძლებლობა, როგორც ეკონომიკურად და პოლიტიკურად ასევე სამხედრო კუთხით (Kaczmarski, 2022).

არ იქნება მართებული მხოლოდ გარედან დაკვირვებით დასკვნის გამოტანა, საჭიროა ჩახედვა ასევე ქვეყნის შიგნით. სწორედ კლარა პორტელას და ჯანის კლუგეს სტატიაში საუბარია რუსეთის ფედერაციის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე. სანქციების მიზანი არ არის მხოლოდ ზემოქმედება გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე, სანქციები სიგნალია მოსახლეობისათვის რომ ევროკავშირი საერთაშორისო წესრიგის დაცვის მომხრეა, ეს გამოჩნდა 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდგომ, როდესაც მოხდა ევროკავშირის მხრიდან შეზღუდვების დაწესება რუსეთის ფედერაციაზე და მისი აქტივების გაყინვა. მაგრამ მოვლენების განვითარებამ ცხადყო რომ სანქციების მიუხედავად მაინც გაგრძელდა მოქმედება უკრაინის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, ყირიმის ანექსია, ლუგანსკის და დონეცკის ოლქის შეერთება რუსეთის ფედერაციაში და ბოლოს რუსეთ-უკრაინის ომი (portela & Kluge, 2022). ქვეყნის შიგნით სანქციების ზემოქმედება მკვეთრად აისახა იმ პირებზე ვისაც საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა საზღვარგარეთ, ბიზნესმენების ნაწილმა

გამოთქვა პროტესტი ომის წინააღმდეგ მაგრამ მალევე მათ წინააღმდეგ ამოქმედდა პროპაგანდისტული მანქანა, შედეგად ისინი გაჩუმდნენ. ჩვეულებრივი მოქალაქისათვის კი ეს კრიზისი არაფრით არ განსხვავდება 2009/2014/2022 წლების კრიზისებისაგან, ეს განპირობებულია ფისკალური პოლიტიკით რომელიც დღემდე ცდილობს დააბალანსოს მდგომარეობა ქვეყანაში, პირადი სამომხმარებლო დანახარჯები დაეცა მხოლოდ 12.6%, 200 000 ადამიანმა დაკარგა სამსახური მრეწველობის სფეროში მაგრამ სტატისტიკურად უმუშვრეობის დონე ქვეყანაში კვლავინდებურად დაბალ დონზეა (portela & Kluge, 2022). რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბიუჯეტმა მიაღწია 4.7 ტრილიონ რუბლს რაც 1.2 ტრილიონი რუბლით მეტია იმასთან შედარებით რასაც მოელოდნენ. 50% ხდება ზრდა სამხედრო დანახარჯების, ამავდროულად ეცემა ბიუჯეტის შემოსავლები 14% (ენერგო რესურსების გაყიდვიდან მიღებული თანხები) და ინფლაცია გაიზარდა 17.5%. ავტორები აღნიშნავენ რომ 2022 წელს ნავთობზე ფასების ზრდამ და ევროკავშირის მხრიდან ემბარგოს დაწესების დაგვიანებამ, რუსეთის ფედერაციას მისცა საშუალება მოკლე დროში დაეგროვებინა დიდი რაოდენობით თანხა, 127 მილიარდი აშშ დოლარი. ვაჭრობის მხრივ აქტივების გაყინვის და საზღვარგარეთულ ვალუტასთან წვდომის მიუხედავად რუსეთის ფედერაციამ წააქეზა თავისი ექსპორტიორი კომპანიები ვაჭრობა გაეგრძელებინათ რუბლში, რამაც აიძულა მყიდველები ანგარიშსწორება განეხორციელებინათ რუსულ ვალუტაში (portela & Kluge, 2022). სანქციების შედეგები ჩანს ეკონომიკაში, მაგრამ პოლიტიკურად ჯერ კიდევ არ იგრძნობა ცვლილებები რაც ავტორთა აზრით დაკავშირებულია დროსთან რადგან ომის დაწყებიდან არც თუ ისე დიდი დრო გავიდა.

მძვინვარე კონფლიქტის და სანქციების დაწესების მიუხედავად არსებობენ ის კომპანიები რომლებიც კვლავაც განგრძობენ ოპერირებას რუსეთის ტერიტორიაზე ან და ინარჩუნებენ აქტივებს, როგორიც მაგალითად არის შენობა-ნაგებობები, სწორედ ამ საკითხზე საუბრობს ონურ ქემალი და ესრაგჰი არმანი თავიანთ სტატიაში (Onur & Eshraghi, 2022). 28 კომპანიიდან რომლებიც განაგრძობენ ფუნქციონირებას პროცენტულად ეს ნაწილდება შემდეგ სფეროებზე; 21% სერვისის, 14% წარმოებაში, 14% ელექტრონიკაში და პროგრამულ უზრუნველყოფაში, 11% ენეგეტიკაში, 11% რეთეილში და გაყიდვებში (Onur & Eshraghi, 2022). რუსეთ-უკრაინის ომი მძიმე დარტყმა იყო მსოფლიო ეკონომიკისათვის რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა იარები კოვიდ-19 პანდემიის შემდგომ, 3.2 პროცენტიანი კლება მსოფლიო განვითარებაში ეს იყო შედეგი პანდემიის დარტყმის (Qureshi, Rizwan, Ahmad, & Ashraf, 2022). მკვლევარებმა ჩაატარეს სტატისტიკური კვლევა ქვეყნების საფონდო ბირჟების რეაქციაზე რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დაწყებულ ცვლილებებზე. ფასების რეკორდული ზრდა გაზზე, ნავთობზე, უწინდელი ეკონომიკური ჯაჭვის მკვეთრი ცვლილება, დანახარჯების ზრდა მათი ვინც ეხმარება ფინანსურად და მატერიალურად უკრაინას, ეს ფაქტორები ზემოქმედებენ არამხოლოდ ერთ კონკრეტულ სახელმწიფოზე

არამედ მთელ მსოფლიოზე, წარმოქმნიან რისკ ფაქტორებს რამაც შესაძლოა ეკონომიკური კრიზისები წარმოშვას. (Qureshi, Rizwan, Ahmad, & Ashraf, 2022).

თავი №1. ისტორია როგორც „მასწავლებელი“

1.1 „წარმატებული“ სანქციების პოლიტიკა (ერაყის შემთხვევა: 1990-2003)

სპარსეთის ყურის მეორე, მესამე ომებს და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს შორის შესაძლებელია გარკვეული პარალელების გავლება. 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის მაშინდელმა მმართველმა სადამ ჰუსეინმა 2 დღეში შესძლო თავისი სამხრეთელი მეზობლის ქუვეითის დაპყრობა, შემდგომში კი იქ შექმნა მარიონეტული მთავრობა მაგრამ დროებით, 1991 წლისათვის გაერომ მიიღო რეზოლუცია რომელიც გმობდა აგრესიულ თავდასხმას ქუვეითზე და წაუყენა ულტიმატუმი ერაყს, მას უნდა დაეტოვებინა ქუვეითი და დაბრუნებოდა სტატუს-ქვოს. ასევე, ამ მოვლენებს მოჰყვა ემბარგოს დაწესება ერაყზე. გაეროს 661 რეზოლუციის თანახმად, იკრძალებოდა ყოველგვარი საქონლის ექსპორტი ერაყის ტერიტორიაზე ან იმპორტი ერაყის ტერიტორიიდან, ასევე იკრძალებოდა შუამავალი ქვეყნების მეშვეობით ვაჭრობა ერაყთან. არსებობდა გამონაკლისი რომლის დაწესება მხოლოდ გაეროს მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი. სანქციებმა მძიმე დარტყმა მიაყენა ერაყს. ***„დაწესებულმა სანქციებმა შეარყია/დაასუსტა ერაყის სამხედრო შესაძლებლობები, ნავთობზე და იმპორტზე კონტროლის დამყარებით მათ ხელი შეუშალეს ერაყს გადაიარაღებაში და მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებაში“*** (Lopez & Cortright, 2004). აღსანიშნავია რომ სანქციების წარმატება მხოლოდ შეზღუდვების დაწესებამ არ გამოიწვია, სანქციებთან ერთად კოალიციური ჯარების სახმელეთო სპეც-ოპერაციამ დიდი წვრილი შეიტანა ამ ომის დამთავრებაში.

სანქცირების ამგვარმა პოლიტიკამ გამოიღო შედეგი და არამარტო აღადგინა ქუვეითის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა არამედ ერაყში მოხდა ხელისუფლების ცვლილება. 3 ომის განმავლობაში ერაყმა შესძლო და თითქმის ყველა თავის მეზობელ სახელმწიფოსთან გაიფუჭა ურთიერთობა, შედეგად ისინი ზღუდავდნენ ერაყისათვსი ვაჭრობის საშუალებას და სანქციების აქტიური მხარდამჭერნი იყვნენ, ზღვაზე გასასვლელი ერაყს მხოლოდ მდინარე შატ-ელ არაბის რაიონში გააჩნია, ვიწრო ტერიტორია ირანს და ქუვეითს შორის, იოლ სამიზნეს წარმოადგენს, თუ გავითვალისწინებთ რომ ქუვეითში კოალიციის ჯარები იყვნენ განლაგებულნი, შედეგად ერთადერთი გზა ერაყისათვის იყო შავი ბაზრის გამოყენება და იქ გატანა თავისი საქონლის, მაგრამ შემოსავალი 3-4 ჯერ ნაკლები იყო. *The U.S. General Accounting (GAO) და The Wall StreetJournal მიხედვით, „ერაყის არალეგალური შემოსავალი ყოველწლიურად იყო 1.5-2.5 მილიარდი დოლარი“* ომამდელი მაჩვენებელი კი 250 მილიარდ დოლარს წარმოადგენდა. (Lopez & Cortright, 2004). ასევე უნდა გვახსოვდეს რომ სანქციები ერაყს მალევე დაუწესდა, (4 დღეში ნავთობზე ემბარგოს დაწესება). ერაყმა ვერ შესძლო ალტერნატიული ბაზრის პოვნა რითაც იგი შესძლებდა ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ ერაყი განვითარების დონით დიდად

დამოკიდებული იყო იმპორტ-ექსპორტზე, შიდა ბაზარი იყო ძალიან სუსტი და განვითარების დაბალ დონეზე, ერთადერთი რესურსი რაც საყურადღებოა ეს არის ნავთობი.

რუსეთთან მიმართებით დაწესებული სანქციების ფორმა ნაკლებად შემზღუდავი არის, სანქციების პოლიტიკი არის შემუშავებული ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშირის ქვეყნების მიერ, გაეროს ამ პროცესებში ასეთივე მნიშვნელოვანი როლი არ აქვს, როგორც ერაყთან მიმართებით (ემბარგო). მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ რომ გაეროში რუსეთის ფედერაცია უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია და მას ყავს გარკვეული მოკავშირეები, ბელორუსიის, რამოდენიმე სამხ. ამერიკული და აფრიკული სახელმწიფოების სახით. ასევე, ჩრდ. კორეა, ჩინეთის რომელიც მეტ სიმპათიას გამოხატვს რუსეთის ფედერაციის მიმართ ართულებს გაეროს ფუნქციონირებას ამ ომში. დაწესებული სანქციების პოლიტიკა მაინც უტოვებს რუსეთის ფედერაციას შესაძლებლობას გაყიდოს და იყიდოს საქონელი საზღვარგარეთ, სანქციების მიმართ დამოკიდებულია არაერთგვაროვანია, ევროპული მხარდაჭერის მიუხედავად არის უნგრეთის შემთხვევა რომელიც ამ ეტაპზე ბუნებრივი აირის იმპორტს ახორციელებს რუსეთიდან, აგრეთვე ჩინეთი რომელიც მოწინავე ეკონომიკაა მსოფლიოში ერთ-ერთი მთავარი შემსყიდველი იყო რუსული ნავთობის და გაზის, მაგრამ აღსანიშნავია რომ ოფოციალური პეკინი თავს არიდებდა რუსეთისათვის იარაღის მიწოდებას, ირანი და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა - ეს ორი სახელმწიფო ამარაგებს რუსეთს შეიარაღებით და ირანის შემთხვევაში ერთვება მასთან საერთაშორისო პროექტებში, შედეგად არის ქვეყნები რომლებიც სანქციების პოლიტიკას სრულად მხარს უჭერენ ნაწილი სრულად უგულებელყოფს მათ ნაწილი კი ნეიტრალურ პოზიციაშია, ეს უკანასკნელი არ გვაძლევს გარანტიას, რომ ისინი არ ითანამშრომლებენ რუსეთთან მომავალში, მითუმეტეს ჩინეთის მაგალითს თუ გავითვალისწინებთ რომელიც დაფარულია უცხო თვალისათვის. *,,მსოფლიოში სიდიდით მეორე, ნავთობის ექსპორტიორმა (რუსეთის ფედერაციამ) უკვე იპოვა მსურველები ჩინეთის და ინდოეთის სახით რომლებიც მზად არიან ჩაანაცვლონ ევროპელი მყიდველები"* (Cooban, 2023). სანქციების პოლიტიკა არ ზღუდავს რუსეთს ეძიოს ალტერნატიული ბაზრები, მაგალითისათვის ირანი და ახლო აღმოსავლეთი რომელიდანაც ამერიკის შეერთებული შტატები თითქმის გამოვიდა არის ახალი სამიზნე რუსეთის ფედერაციისათვის.

თავი №2. რუსეთის ფედერაციის გეგმა „ბ“

ყველაზე საფრთხის შემცველი სანქცირების პოლიტიკის ეფექტურობისათვის არის სამიზნე ქვეყნის მიერ ალტერნატიული გზების პოვნა. თუ დასანქცირებულმა ქვეყანამ შესძლო და იზოლაციას თავი დააღწია მას ექნება საშუალება აირიდოს თავიდან მძიმე შედეგები, ისტორიიდან ყველას გვახსოვს ნაპოლეონის ომები, 1803-1815 წწ. ევროპის კონტინენტზე პოზიციების გამაგრების შემდგომ, ნაპოლეონისათვის ერთადერთ მნიშნველოვან პრობლემას ინგლისის იმპერია წარმოადგენდა, ნაპოლეონმა სცადა ინგლისის სრულ იზოლაციაში მოქცევა, აუკრძალა ყველა თავის მოკავშირეს ინგლისთან ვაჭრობა და იმედოვნებდა რომ მალევე ინგლისში გამოიწვევდა კრიზისს და დაამარცხებდა მას. მაგრამ რუსეთის იმპერია დიდად დამოკიდებული იყო ხორბლის ექსპორტზე ინგლისში ამით იგი დიდ შემოსავალს იღებდა, შედეგად ამგვარმა ,,შეზღუდვებმა“ ვერ გაამართლა, რადგან მალულად მაინც უწევდა რუსეთის იმპერიას ვაჭრობა ინგლისთან. თანაც ინგლისის იმპერიისათვის გამოსავალ გზად რჩებოდა მისი კოლონიები. დღევანდელობაში საქმე მეტად განსხვავებულად გვაქვს გლობალიზაციის ეპოქა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ მეტად რთული გახადა რომელიმე ერთი სახელმწიფოს იზოლაცია თუ მითუმეტეს იგი მსოფლიოს ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ძალა როგორც ტერიტორის სიდიდით ისე სამხედრო ძალით. რუსეთი ამ ეტაპზე ახდენს ალტერნატიული ბაზრების ათვისებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სანქციებისაგან ,,თავის დასაღწევად“

2.1 რუსეთის ინტერესები და მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში.

რუსეთ-უკრაინის ომმა დაახლოვა **ირანი** რუსეთთან, მათი თანამშრომლობა უპრეცედენტო დონეს აღწევს, როგორც ეკონომიკურად ისე პოლიტიკურად, რაც შეშფოთებას იწვევს აშშ-ში. შესაძლებელია მკვლევართა ნაწილმა განაცხადოს რომ, ირან-რუსეთის ურთიერთობების ამგვარი გამყარება ირანისათვის შესაძლებელია წამგებიანი აღმოჩნდეს რადგან ეს დააშორებს მას უფრო მეტად ,,დასავლურ ცივილიზაციას“, მოაქცევს მას სანქციების ქვეშ როგორც აგრესიის მხარდამჭერ სახელმწიფოს, რაც თავის მხრივ მძიმე შედეგებს მოუტანს მას ეკონომიკურად, ასევე საზოგადოებრივი აზრიც გასათვალისწინებელია, რადგან შესაძლებელია მოსახლეობა ნეგატიურად უყურებს აგრესიულ ომს წარმართულს უკრაინის წინააღმდეგ (რაც ცალკე საკვლევი საკითხია). ასევე შესაძლებელია რუსეთთან თანამშრომლობაზე უარის თქმით ირანმა ურთიერთოებები მეტნაკლებად გამოასწოროს ,,დასავლეთთან“. ირანი გასული საუკუნეებიდან მოყოლებული საერთაშორისო სანქციების სამიზნე ქვეყანაა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის მისი ბირთვული პროგრამა რომლის განხორციელებაც მას სურს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანზე დააწესა სხვადასხვა სახის სანქციები, იქნება ეს ნავთობის გაყიდვაზე შეზღუდვები თუ პერსონალური სანქციები გადაწყვეტილებების მიმღებ პირებზე, შეზღუდვები მნიშვნელოვანია რადგან ამით ირანს უკეტავენ გზას დასავლური ინვესტიციებისაკენ, დასავლური

ტექნოლოგიებისაკენ, დასავლური ,,გარემოსაკენ“ და ცოდნისაკენ რაც თავის მხრივ იქნებოდა ძალიან დადებითი ირანისათვის, მისი განვითრებისათვის ეკონომიკურად, პოლიტიკურად, ტექნოლოგიურად და ა.შ.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ რუსეთის ფედერაცია ფლობს გარკვეულ სამეცნიერო და ტექნიკურ ბაზისს იქნება ეს საბჭოთა მემკვიდრეობა თუ თანამედროვე მიღწევები, განსაკუთრებით სარაკეტო და ბირთვული მეცნიერების სფეროებში, რუსეთის ფედერაცია ირანისათვის შესაძლოა განიხილებოდეს შესანიშნავ სტრატეგიულ მოკავშირედ, მათ თანამშრომლობას მეტი ურთიერთ სარგებლობა მოაქვს ერთმანეთისათვის ვიდრე დაპირისპირება. ირანის და რუსეთის ფედერაციის საგარეო და საშინაო პოლიტიკებს შორის არსებობს საერთო ნიშნები, ირანი 1979 წლის შემდგომ ანტიდასავლური პოლიტიკის გამტარებელია, ქვეყნის შიგნით რეჟიმი ავტორიტარულია სიტყვის თავისუფლება და ადამიანის უფლება ყოველდღიურად ირღვევა. რუსეთის ორიენტაციაც ამჟამად ანტიდასავლური არის, ქვეყნის შიდა მოწყობაც ავტორიტარული, პრობლემათა უმრავლესობა, რაც არის ამ ქვეყნების მიმართ რიგ შემთხვევაში იდენტურია, შესაბამისად ირანისათვის მეტად მომგებიანია თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან მათი ,,სიახლოვიდან“ და მსგავსებებიდან გამომდინარე.

გასული წლის მიწურულიდან რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ირანული წარმოების დრონების გამოყენება თავისი სარაკეტო დარტყმების დროს უკრაინული პოზიციების წინააღმდეგ. *,,უკრაინული დაზვერვის ინფორმაციით ოქტომბერში რუსეთის ფედერაციამ შეუკვეთა 1700-მდე სხვადასხვა დანიშნულების შაჰიდ-136 ტიპის დრონები“* (Lister, 2023). რუსეთის ,,ნახევრად იზოლაციამ“ აიძულა მას ეძია ახალი სავაჭრო ბაზარი, რომელიც მან ირანის სახით იპოვა, ირანმა 300 000-მდე საარტილერიო ჭურვი, ასევე შაჰიდ-136 ტიპის კამიკაძე დრონები მიაწოდა რუსეთის ფედერაციას 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით (peace, 2023). ირანს და რუსეთს შორის იმართება მოლაპარაკებები რუსული შეიარაღების შეძენაზე, რამაც უკვე შედეგი გამოიღო, თეირანს და მოსკოვს შორის სამხედრო თანამშრომლობა გაღრმავდა, რუსეთმა საპასუხოდ თეირანს გადასცა იაკ-130 ტიპის სავარჯიშო რეაქტიული თვითმფრინავები, ეს დაეხმარება ირანს მოამზადოს კვალიფიციური პილოტები თანამედროვე გამანადგურებლებისათვის, ასევე განიხილება სუხოი სუ-35 გამანადგურებლების გადაცემა ირანისათვის (Geranmayeh & Grajewski, 2023). რუსეთის ფედერაცია ახდენს ბაზრების დივერსიფიკაციას, ახალი ბაზრების ათვისებას და ამით ,,პრობლემებისაგან თავის დაღწევას“. 2023 წლის 17 მაისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს და მის კოლეგას ებრაჰიმ რაისის შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვით რუსეთის ფედერაცია დააფინანსებს ჩრდილოეთის და სამხრეთის დამაკავშირებელ რკინიგზის ხაზს (Hafezi & Astakhova, 2023). ეს სარკინიგზო ხაზი დააკავშირებს რუსეთის ფედერაციის ბალტიის ზღვის პორტებს ირანის და ინდოეთის ოკეანის პორტებთან, შეამცირებს მანძილს და დროს. რკინიგზის ეს ხაზი

რუსეთს მისცემს საშუალებას აითვისოს ახლო აღმოსავლეთის და აზიის ბაზრები უკეთესად, ასევე დააღწიოს იმ ჩაკეტილობას თავი რის შექმნასაც ცდილობს საერთაშორისო სანქციები, პარტნიორობა ირანთან რუსეთის ფედერაციას ამ ეტაპისათვის მისცემს საშუალებას აქტიურად გააგრძელოს სამხედრო მოქმედებები უკრაინის წინააღმდეგ და შეიძინოს ყველა აუცილებელი შეიარაღება რკინიგზის ხაზი კი ლოჯისტიკურ ხარჯებს და დროს ამცირებს. ირან-რუსეთის ვაჭრობა 2022 წელს 20%-ით გაიზარდა 5 მილიარდ დოლარამდე, რუსეთი ხდება უმსხვილესი ინვესტორი ირანისათვის, 2.76 მილიარდი დოლარის ინვესტიცია იქნა განხორციელებული ირანში (Geranmayeh & Grajewski, 2023). აგრეთვე ,,გაზპრომმა" და ,,ირანის ნავთობის კომპანიამ" 2022 წლის ივნისში დადეს ხელშეკრულება 40 მილიარდი დოლარის ინვესტიციაზე ირანული საბადოების ათვისების და საჭირო ინფრასტრუქტურის აგებაზე. ახლო აღმოსავლეთიდან ამერიკის შეერთებული შტატების გასვლა აძლევს მეტ შესაძლებლობას რუსეთს, ირანს, ჩინეთს, თავიანთი გავლენების გავრცელების. ახლო აღმოსავლეთი და აზია შესაძლებელია მნიშვნელოვანი ,,დაფინანსების" წყარო გახდეს რუსეთის ფედერაციისათვის ომის გაჭიანურების შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ აზიაში და ახლო აღმოსავლეთში აშშ და ზოგადად დასავლური ,,ცივილიზაციები" ნაკლებად პოპულარულები არიან, ეს მოსაზრება ფართოდ გაშლილია სემუელ ჰანთიგტონის მოსაზრებაში ***,,ცივილიზაციათა შეჯახება"*** სადაც გამოთქმულია მოსაზრება რომ სამომავლოდ დასავლური ცივილიზაციის მეტოქე ისლამური ცივილიზაცია იქნება, მრავალი ისლამური სახელმწფო აქტიურად ეწინააღმდეგება ე.წ. ,,ვესტერნიზაციას" და დასავლურ კულტურას, რაც მათი აზრით ტრადიციების დასასრულია.

2023 წლის მიწურულს რუსეთის პრეზიდენტი გაემგზავრა ***არაბთა გაერთიანებულ ემირატებში*** და ***საუდის არაბეთში***, მას თან ახლდა მისი კაბინეტი. კონკრეტულად რთულია საუბარი რა სახის თემებზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, მოვლენის სიახლიდან გამომდინარე მაგრამ 2024 წლის დასაწყისში გახდა ცნობილი რომ B.R.I.C.S-ს შეუერთდა დასახელებული ორივე სახელმწიფო (Egypt, Iran, Saudi Arabia, UAE, Ethiopia formally join BRICS, 2024).

ომმა ასევე გავლენა მოახდინა **ეგვიპტეზე**, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით ეგვიპტის მარცვლეულის 80% ექსპორტს ახდენდა უკრაინიდან და რუსეთიდან, ასევე ომმა დამსვენებელთა რაოდენობა შეამცირა, შედეგად ეგვიპტეს უწევს გაატაროს ეკონომიკური რეფორმები ინფლაციის შესაკავებლად, რაც გამოხატულია სახელმწიფო სუფსიდიების ზრდაში და სხვადასხვა შეღავათების დაწესებაში (Kammer , Azour, Selassie, Goldfajn, & Rhee, 2022).

2.2 რუსეთის ინტერესები და მდგომარეობა აზიაში

ომის მსვლელობის განმავლობაში საინფორმაციო ველში გაჩნდა მრავალი ,,ჭორი“ ჩრდილო კორეული იარაღის გაჩენაზე უკრაინის ფრონტზე, ამ ინფორმაციას არ ადასტურებდა უკრაინის დაზვერვა მაგრამ არც უარყოფდა. ივლისში **ჩრდილოეთ კორეას** ვიზიტით ეწვია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ, ამ ,,მეგობრული“ ვიზიტის დროს კიმ ჩენ ინმა დაათვალიერებინა ჩრდ. კორეის სარაკეტო (მათ შორის შორს მოქმედი რაკეტების) არსენალი (Ng, 2023), მალევე რუსეთის ფედერაციას 13 სექტემბერს ეწვია კიმ ჩენ ინი და იგი დაესწრო სამიტს (Kim & Victor, 2023), საბოლოოდ კი 18 ოქტომბერს ჩრდილოეთ კორეას ეწვია სერგეი ლავროვი. სამი მნიშვნელოვანი შეხვედრის შემდგომ ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვამ ოფიცილურად განაცხადა რომ ჩრდილოეთ კორეიდან 1000-მდე სატვირთო კონტეინერი იქნა შეტანილი რუსეთის ფედერაციაში (baker, 2023), ძირითადად ეს საარტილერიო ჭურვებია, აგრეთვე 2024 წლის დასაწყისში ამერიკული დაზვრევის ინფორმაციით უკრაინაზე მორიგი სარაკეტო დარტყმის დროს გამოყენებული იქნა ჩრდილოეთ კორეული საშუალო მანძილზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტები რომლებიც ,,ისკანდერის“ ტიპის რაკეტების ანალოგია (Al Jazeera, 2024). ჩრდილოეთ კორეას და რუსეთს შორის თანამშრომლობა ათწლეულებს ითვლის, ცივი ომის პერიოდიდან მოყოლებული ჯერ საბჭოთა კავშირი, შემდგომ კი რუსეთის ფედერაცია აგრძელებენ თანამშრომლობას კორეის სახალხო რესპუბლიკასთან, ამ ეტაპზე რთულია დამტკიცებით თქმა მოხდა თუ არა ამ ორი სახელმწიფოს უფრო დაახლოება თუ ეს უბრალოდ დროებითი მოვლენა არის, იქიდან გამომდინარე რომ ეს ვიზიტები არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა, მაგრამ აღსანიშნავია რომ რუსეთს აქვს ჯერ-ჯერობით პოტენციალი შესთავაზოს ჩრდ. კორეას მრავალი რამ, მაგალითად თავისი გამოცდილება სარაკეტო ინდუსტრიასა და მეცნიერებაში.

ასევე კიდევ ერთი მსხვილი მოთამაშე აზიაში ეს არის **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა**, ერთ-ერთი მოწინავე ეკონომიკა მსოფლიოში, სანქციების დაწესების მიუხედავად რუსეთ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები კვლავაც მიმდინარეობს, ბილატერულ ეკონომიკურ ურთიერთობებში 2022 წელს 190 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, 2023 წლის პირველი 4 თვის დასაწყისისათვის კი 90 მილიარდი დოლარი შეადგინა, ჩინეთი ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველი აღმოჩნდა რუსული ბუნებრივი რესურსების, ამის საპასუხოდ რუსეთში გაიზარდა ჩინური ტექნიკის, ელექტრონაწილების, ავტომობილების იმპორტი. აგრეთვე მსხვილმა ჩინურმა კომპანიებმა სხვადასხვა დარგებში კვლავინდებურად განაგრძეს ფუნქციონირება რუსულ ბაზარზე, რაც ნათლად ჩანს. (***იხილეთ დანართი 1 და 2)*** (Essen, 2023). მნიშვნელოვანია რომ ერთ-ერთი მსხვილი საქონელი რაც შედის რუსეთში ეს არის ალუმინის დიოქსიდი რაც გამოიყენება ალუმინთან

დაკავშირებულ მრეწველობაში, ეს თავისმხრივ კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამხედრო ინდუსტრიაში. ჩინეთი გახდა 2022 წლიდან უმსხვილესი იმპორტიორი რუსული ნავთობის, მოწინავე ეკონომიკა შესანიშნავად იყენებს არსებულ შესაძლებლობას და 2022-2023 წლებში მზარდი ტენდენცია შეინიშნება, 2023 წლის მარტში მაჩვენებელი შეადგენდა 2.27 მილიონ ბარელს დღეში რაც აღემატებოდა 1.5 ჯერ გასული წლის მარტს, მაგრამ აღსანიშნავია რომ ჩინეთი რუსულ ნავთობს შეღავათიან ფასად ყიდულობდა. აგრეთვე ბუნებრივი აირის ექსპორტი ჩინეთში გაიზარდა 50% 2022 წელს. თანხობრივ მონაცემებში ეს შეადგენდა 3.98 მილიარდ დოლარს ბუნებრივი აირის კუთხით, ხოლო თხევადი აირში ჯამურად ჩინეთმა გადაიხადა 6.75 მილიარდი დოლარი. (Essen, 2023). აგრეთვე ჩინეთმა დიდი რაოდენობით მატერიალური საქონლის რეალიზება მოახდინა რუსულ ბაზარზე (***იხილეთ დანართი 3).*** შედეგად ამ ალტერნატივის გამოყენებით რუსეთის ფედერაცია მეტნაკლებად ასტაბილურებს თავის მდგომარეობას ამ ეტაპისათვის, და აძლევს მას საშუალებას ამ დრომდე აწარმოოს და დააფინანსოს თავისი სამხედრო გეგმები, ასევე უნდა ითქვას რომ ამგვარი ალტერნატია შესაძლოა არ იყოს დადებითი შედეგების მომტანი გრძელ ვადაში.

2.3 B.R.I.C.S რუსეთისათვის სანქციებისაგან თავის დაღწევის საშუალება?!

კიდევ ერთი ,,მაშველი რგოლი“ რუსეთის ფედერაციისათვის შესაძლოა აღმოჩნდეს ალტერნატიული საერთაშორისო გაერთიანება, B.R.I.C.S, რომელსაც გააჩნია თავისი განვითარების ბანკი და მისი წევრები ითვლებიან ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად სახელმწიფოებად. B.R.I.C.S ეს აკრონიმია, (სიტყვათა ჯგუფის პირველი ასოების ნაკრები) ბრაზილია, რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, ჩინეთი, სამხერეთ აფრიკის რესპუბლიკა. 2006 წლიდან იწყება ამ გაერთიანების ისტორია, თავიდან იგი მხოლოდ 4 სახელმწიფოსაგან შედგებოდა, B.R.I.C (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გამოკლებით). 2006 წლის გაეროს და 2008 წლის იაპონიის დიდი ,,რვიანის“ შეხვედრებზე რუსეთის ფედერაციის ინიციატივით შეიქმნა აღნიშნული გაერთიანება, ყოველ წევრს გამოარჩევს ერთი გარემოება, იმ პერიოდისათვის ეკონომისტები თვლიდნენ რომ სწორედ ეს სახელმწიფოები იქნებოდნენ მომავალი 10-20 წელიწადის განმავლობაში ყველაზე სწრაფადმზარდი ეკონომიკის და განვითარების მქონე სახელმწიფოები, მართლაც ერთ-ერთმა წევრმა ეს დაამტკიცა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახით.

ეს ორგანიზაცია შესაძლოა ჩაითვალოს რუსეთისათვის კიდევ ერთ ,,მაშველ რგოლად“, B.R.I.C.S.-ის ორგანიზაციას გააჩნია ***,,განვითრების ბანკი“*** რომელიც შეიქმნა 2015 წელს ,,New Development Bank” ბანკი აფინანსებს წევრი სახელმწიფოების ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის გარემოება რომ ორგანიზაცია განიხილავს ახალი საერთაშორისო ვალუტის შექმნას რომელიც იქნება ოქროთი უზრუნველყოფილი, ეს შესაძლოა აიხსნას იმით

რომ სახელმწიფოთა ნაწილი, (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია....) ნაკლებად კმაყოფილია დოლარის დომინანტობით მსოფლიო ვაჭრობაში, 2022 წლის ომმა კი შესაძლოა რუსეთი უფრო მეტად გააქტიუროს ამ იდეის პრაქტიკაში განხორციელების მიმართულებით (Mamdouh, 2023).

რაც შეეხება ომს, აღნიშნული ორგანიზაციის პოზიცია ომის დაწყების შემდგომ ნეიტრალურია მაგრამ იკვეთება სხვა გარემოება, მაგალითისათვის თუ დოიჩე ველეს სტატიას დავეყრდნობით ინდოეთის და რუსეთის ფედერაციის სავაჭრო ურთიერთობა ისტორიულ მაჩვენებლებს უტოლდება სასუქების ექსპორტის მხრივ რაც ძალიან მაღალია (Prange, 2023). ორგანიზაცია ამ ეტაპისათვის ცდილობს ახალი წევრები მიიღოს, სამხერთ აფრიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა რომ *,,ორგანიზაციისადმი ინტერესი მარტის თვეში გაიზარდა, მე (სამხერთ აფრიკის საგარეო საქმეთა მინისტრი) სამუშაო მაგიდაზე მაქვს 7 სახელმწფოს წერილი"* საუდის არაბეთი, გაერთიანებულ არაბთა საემირო, ეგვიპტე, ალჟირი, არგენტინა, მექსიკა, ნიგერია. (Prange, 2023) 2024 წლის 1 იანვარს კი ორგანიზაციას ოფიციალურად 5 წევრი შეემატა, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემირო, ეთიოპია, ეგვიპტე და ირანი. რამაც ორგანიზაციის წევრთა საერთო მშპ გახადა 16 ტრილიონ დოლარზე მეტი და ცოცხალი ძალის კუთხით 2.5 მილიარდ ადამიანს შეადგენს (Egypt, Iran, Saudi Arabia, UAE, Ethiopia formally join BRICS, 2024). ორგანიზაცია თავისი განვითარების ტემპებით შესაძლებელია სამომავლოდ გახდეს ,,დასავლური" პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებებისათვის კონკურენტი, მასში გაერთიანებულნი არიან სახელმწიფოები რომლებიც გამოირჩევიან მაგალითად, სტრატეგიული ადგილმდებარეობით (საუდის არაბეთი, ეთიოპია,ეგვიპტე წითელ ზღვაზე წვდომის კუთხით), ,,შავი ოქროს" და სხვა ბუნებრივი რესურსების ფლობით (რუსეთი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბთა საემირო) ან და უმსხვილესი ეკონომიკით (ჩინეთი). აგრეთვე, არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური და იდეოლოგიური კუთხით. ეს ორგანიზაცია შესაძლოა გახდეს ,,თავშესაფარი" ავტორიტარულ სახელმწიფოთათვის, ასევე სახელწმიფოთა იმ ჯგუფისათვის ვისაც ნაკლებად მოსწონს დასავლეთი ან სანქციების ზეწოლის ქვეშ არის. 2023 წლის აგვისტოში ბრაზილიის პრეზიდენტმა მოუწოდა B.R.I.C.S.-ის წევრ სახელმწიფოებს და მიმართა იდეით, იდეა მდგომარეობს საერთო ვალუტის შექმნაში, წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების განხორციელებისათვის, რათა შემცირდეს დამოკიდებულება ამერიკულ დოლარზე (Savage, 2023). გეგმის განხორციელების შემთხვევაში ორგანიზაციის ავტონომიურობა შესაძლოა გახდეს ერთგვარი გადარჩენის გზა და თავშესაფარი მათთვის ვინც მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების მიერ არის დასანქციებული, აქვე აღსანიშნავია რომ წევრი სახელმწიფოები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ძალას საერთაშორისო სავაჭრო არენაზე.

თავი №3 სანქციების მიუხედავად გაგრძელებული ექსპორტი

რუსეთის ფედერაციისათვის ახლო აღმოსავლეთის და აზიის რეგიონი არ წარმოადგენს თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებას სანქციებისაგან, დღემდე რუსეთის ფედერაცია ახდენს თავისი საქონლის ექსპორტს მრავალ ქვეყანაში, მაგალითისათვის ამიერკავკასიაში ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ რუსულ პროდუქციას საყოფაცხოვრებო მაღაზიების დახლებზე, ან ისეთ კომპანიებს როგორიც არის ,,ლუკოილი" (რუსული ნავთობკომპანია), უნგერთის შემთხვევაში იგი კვლავინდებურად ყიდულობს ბუნებრივ აირს რუსეთის ფედერაციისაგან. ეს განპირობებულია გარკვეული მოთხოვნის არსებობით, იქნება ეს მოთხოვნა ენერგიაზე თუ სურსათზე რომელიც ,,იაფია" საშუალო სტატისტიკური მოქალაქისათვის.

3.1 სანქციების მიუხედავად გაგრძელებული რუსული ექსპორტი ევროპაში

2022-2023 წლის ნოემბერი, ამ მონაცემების მიხედვით თითქმის ერთი წლის განმავლობაში რუსული ნავთობის ექსპორტი ევროპაში დაეცა 7%-ით, ძირითადად ექსპორტი შავი ზღვის აკვატორიის მეშვეობით ხორციელდებოდა, ამის საპირწონედ თხევადი აირის ექსპორტი ევროპაში გაიზარდა 5%-ით და მილსადენის მეშვეობით ბუნებრივი აირის ექსპორტის მოცულობამ 25%-ით მოიმატა (Levi, 2023), მომატების ეს მიზეზი შესაძლოა აიხსნან ზამთრის დადგომით, და გათბობაზე მოთხოვნის ზრდით. კონკრეტულად **საფრანგეთის მიერ,** ნოემბრის თვეში 316 მილიონი ევროს ღირებულების თხევადი ბუნებრივი აირი იქნა შესყიდული, გათბობაზე გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, წყაროზე დაყრდნობით წინა თვესთან შედარებით 137% გაიზარდა მოთხოვნა, ნაყიდი რაოდენობიდან 57% ნედლეულის მონტოირის პორტში იქნა გადაგზავნილი სხვა მიმართულებით. ამავე თვეში თურქეთმა 68%-ით გაზარდა იმპორტი რუსული ბუნებრივი აირის რამაც 457 მილიონი ევრო შეადგინა (Levi, 2023). რათქმაუნდა ევროპული ქვეყნების სია ამით არ მთავრდება და არიან კიდევ რამოდენიმე ევროპული ქვეყნები რომლებმაც ნოემბრის თვეში ,,ზამთრისათვის მოიმარაგეს გაზი" იხლ. **(დანართი 4)** ლიდერი შესყიდვებში ნომბრის თვეში ევროპულ ბაზარზე გახდა უნგრეთი რომელმაც 4 მილიარდ ევროზე მეტი გადაიხადა.

3.2 რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული საერთაშორისო სანქციების პოლიტიკა და საქართველოს როლი ამ პროცესში.

საქართველო ახდენს რუსული ხორბლის იმპორტს, სტატისტიკური მონაცემებით რუსეთის ფედერაცია პროცენტულად ყველაზე დიდი იმპორტიორია ხობლის ქვეყანაში ***,,ტრადიციულად, საქართველოსთვის ხორბლის მთავარ საიმპორტო ბაზრად რუსეთი რჩება. იანვარ-ოქტომბერში რუსეთში შეძენილი საქონლის წილმა მთლიან იმპორტში 93% შეადგინა. ჯამში, მიმდინარე წელს ქვეყანაში ხორბალი მხოლოდ 7 ბაზრიდან შემოვიდა:"***(მღებრიშვილი, 2022). ეს აიხსნება ხორბლის ფასის კლებით, შედეგად ისეთი ქვეყნებისათვის როგორც საქართველოა მომგებიანია შესყიდვა ხორბლის/ფქვილის ასეთ ფასში. რუსეთის ფედერაციის ექსპორტი საქართველოში მხოლოდ ხორბლით არ შემოიფარგლება, ელექტროენერგია და საწვავი არის კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტი რომელიც მოთხოვნადია ქართულ ბაზარზე, საერთაშორისო სანქციებმა რუსულ ნავთობზე ფასების დაწევა გამოიწვია***,,დასავლური სანქციების გამო, რუსული ნავთობი საერთაშორისო ბაზარზე ყოველდღიურად ფასს კარგავს. თუ***

აქამდე, ტრადიციულად "ბრენტისა" და „ურალის" დასახელების ნავთობს შორის ფასში სხვაობა ორ დოლარამდე მერყეობდა, ახლა „ურალი" „ბრენტზე" 25%-ით იაფად იყიდება. ამის მიზეზი დასავლეთიდან მოთხოვნის კლებაა." (მაქაცარია, 2022) შედეგად რუსული წარმოების ნავთობის იმპორტი საქართველოში გაიზარდა: *„2022 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე საქართველოში იმპორტირებული ნავთობის 43% რუსეთიდან იყო და ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 375%-ით მეტია"* (მღებრიშვილი, 2022). საერთაშორისო სანქციების ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია რომ რაც შეიძლება ნაკლები ალტერნატივა გააჩნდეს სამიზნე სახელმწიფოს, შედეგად ზეწოლა მეტად მტკივნეული იქნება მასზე, ეს განაპირობებს შემდეგში გადაწყვეტილებათა ცვლილებას. ალტერნატივათა არსებობა აძლევს შანს და იმედს სამიზნე სახლემწიფოს თავი დააღწიოს რთულ მდგომარეობას და თუნდაც ბაზრების დივერსიფიკაციით ან სავაჭრო ურთიერთობების შენარჩუნებით გარკვეულ ქვეყნებთან, განაგრძოს ,,დაფინანსება" თავისი მიზნების.

3.3 საქართველოში უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში და იმპორტში (2020-2022 წწ.)

2020 წლის გრაფიკში რუსეთის ფედერაცია არ ფიგურირებს ტოპ ხუთეულში, ლიდერი პოზიცია უკავია თურქეთს, ამ წელიწადში ჩვენ ყველაზი დიდი რაოდენობით საქონელი სწორედ თურქეთიდან შემოვიტანეთ, საერთო ღირებულება კი შეადგენდა დაახლოებით 1,4 მილიონ აშშ დოლარს. ეს რიცხვი აღემატება თითოეული ქვეყნის რიცხვს. ***(იხილეთ დანართში 5).*** ხუთეულს აგრძელებენ ჩინეთი, აშშ, აზერბაიჯანი, სომხეთი (კლებადობის მიხედვით). ამავე წლის ექსპორტის გრაფიკი აჩვენებს რომ ჩვენ ყველაზე მეტი საქონელი გავიტანეთ ჩინეთში რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 477 ათასს აშშ დოლარს, შემდგომში ხუთეულს აგრძელებს, აზერბაიჯანი, რუსეთი, ბულგარეთი, უკრაინა, თურქეთი. ***(იხილეთ დანართი 6)*** . აღსანიშნავია რომ 2020 წელს ჩვენს იმპორტში რუსეთის ფედერაცია არ იკავებს არანაირ მნიშვნელოვან ადგილს (ხუთეული), ექსპორტის მხრივ კი მსხვილი ბაზარი ჩვენთვის ჩინეთი და აზერბაიჯანია, რუსეთი კი მესამე ადგილზეა. 2021 წლის იმპორტის მიხედვით ტენდენცია თითქმის იგივე გვაქვს ლიდერი პოზიცია უკავია თურქეთს, ამ წელს 1.8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში ***(იხილეთ დანართში 7)*** ხუთეულის რაჟირება კი რჩება იგივე როგორიც 2020 წელს სომხეთის გამოკლებით რომელიც ჩანაცვლდა გერმანიით. რაც შეეხება ექსპორტს შეინიშნება ცვლილება, ლიდერი ჩინეთია, 615 ათასი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის გატანა მოხდა საქართველოდან. რაც შეეხება მეორე ადგილს, აზერბაიჯანს გადაასწრო რუსეთის ფედერაციამ და დაიკავა მეორე ადგილი 610 ათასი აშშ დოლარის ოდენობის საქონლის გატანა მოხდა რუსეთში***(იხილეთ დანართი 8).*** 2022 წელს იმპორტის კუთხით რუსეთის ფედერაცია გავიდა პირველ ადგილზე, 2022 წელს თურქეთი აღმოჩნდა ,,დანარჩენი ქვეყნების" სიაში და ვერ შევიდა ხუთეულში, ხუთეულის პირველი მეორე და მესამე ადგილოსნები გახდნენ: რუსეთი 1.8 მილიონით, ჩინეთი 1.1 მილიონით, აშშ 1.0 მილიონი აშშ დოლარით ***(იხილეთ დანართში 9).*** ექსპორტის მხრივ კი სურათი დაემსგავსა 2020 წლის დროინდელ მონაცემებს სადაც პირველ და მეორე ადგილზე გავიდნენ ჩინეთი 736 ათასი, აზერბაიჯანი 672 ათასი და რუსეთის მესამე ადგილზე 651 ათასი აშშ დოლარით.

შედეგად სახეზე ჩვენ გვაქვს საქართველოს ექპორტ-იმპორტი 3 წლის ჭრილში, დავიწყოთ იმპორტით აქ ჩვენი ლიდერი ბაზარი არის თურქეთი ორი წლის განმავლობაში, 2022 წელს კი მკვეთრი ცვლილება მოხდა და რუსეთის ფედერაცია გავიდა პირველ ადგილზე, აქვე აღსანიშნავია რომ რუსეთის ფედერაცია არ ფიგურირებდა ტოპ ხუთეულში არც 2022 და არც 2021 წლებში. ეს მკვეთრი გამოჩენა შესაძლებელია დავუკავშიროთ ფასების ვარდნას, რადგან 2022 წელს საერთაშორისო სანქციების შედეგად რუსეთის ფედერაციას შეეზღუდა ვაჭრობა დასავლურ ბაზარზე, საჭირო გახდა საქონლის რეალიზება სხვა ბაზრებზე და სასწრაფოდ, რათა ეკონომიკას არ მიყენებოდა მძიმე დარტყმა. იმპორტის მხრივ ჩინეთი იყო მთავარი სარეალიზაციაო ბაზარი ჩვენთვის, 2020, 2021, 2022 წლებში. რუსეთის ფედერაცია 2020 წელს იყო მესამე ადგილზე ხუთეულში. 2021 წელს კი მეორე ადგილზე გავიდა, ზრდადი ტენდენცია შეიცვალა 2022 წელს და რუსეთის ფედერაციამ გადაინაცვლა მესამე ადგილზე. ეს შეიძლება აიხსნას 2022 ამოქმედებული საერთაშორისო სანქციებით, შეიზღუდა გარკვეული საქონლის გაყიდვა რუსეთისათვის. 2022 წელს იმპორტის მკვეთრი ზრდა რუსეთის ფედერაციასთან შესაძლებელია დავინახოთ როგორც საშიშროება საერთაშორისო სანქციების ეფექტურობისათვის, რადგან თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა რუსეთის ფედერაცია შესაძლებელია გახდეს ჩვენთვის პრიორიტეტული ბაზარი, შედეგად ქვეყნიდან გადინებული თანხებით იქნება შევსებული რუსეთის ბიუჯეტი. ასევე თვალშისაცემია ექსპორტის კუთხით რუსეთის ფედერაციის როლის ზრდა 2020-2021 წლებში იმის მიუხედავად რომ 2019 წელს რუსეთის ფედერაციამ გარკვეული შეზღუდვები დაგვიწესა ე.წ. ,,გავრილოვის ღამის“ მოვლენების შემდგომ, ეს აჩენს კითხვის ნიშნებს, რატომ ხდებოდა რუსული ბაზრის ზრდა იმის გათვალისწინებით რომ ჩვენ მისგან სანქცირებულნი ვიყავით?

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება არის რუსი მოქალაქეების ჩამოსვლა საქართველოში, სტატისტიკური ინფორმაციის ნახვისას გადავწყვიტე მთლიანად 2015-2022 წლების მონაცემები ამეღო, რადგან სურათი ძალზედ საინტერესოა.

3.4 საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა მოქალაქეობის მიხედვით: 2015-2022 წლების გრაფიკის მიხედვით

კვლევაში ყურადღება გამახვილდა მხოლოდ რუსეთის იმ მოქალაქეებზე, ვინც საზღვარი გადმოკვეთა რუსული პასპორტით.

2015 წლიდან 2019 წლამდე ზრდის ტემპები დაახლოებით 10% ფარგლებში ნარჩუნდებოდა 2018-2019 წლებში ზრდამ 3 ციფრიან ნიშნულამდე მიაღწია და 117.06 და 122.62 . 2020-2021 წლებში კი მკვეთრი ვარდნაა და ვიზიტორთა რაოდენობა 17 ათასი ადამიანი შეადგინა. ეს დაკავშირებულია ე.წ. ,,გავრილოვის ღამის“ მოვლენებთან, ამ მოვლენების შემდგომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ურჩევდა მოქალაქეებს თავი შეეკავებინათ საქართველოში მოგზაურობისაგან დაძაბული სიტუაციის გამო, ასევე ამას დაემატა სანქციები რუსეთის ფედერაციის მხრიდან. 2022 წელს კი ჩამომსვლელთა რაოდენობამ შეადგინა 90 ათასი ადამიანი რაც მკვეთრი ზრდაა, მაგრამ ჩამოუვარდება 2018-2019 წლის მონაცემებს ***(იხილეთ დანართი 10).*** აქ აღსანიშნავია მკვეთრი ზრდა რუსეთის მოქალაქეთა ჩამოსვლის მთელი 2022 წლის განმავლობაში, ამ მოქალაქეთა ნაწილი შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური მეწარმე,

ბიზნესმენი, მათ შეუძლიათ თავიანთი ბიზნესის, აქტივების, ფულადი რესურსების საქართველოში ჩამოტანით თავი აარიდონ საერთაშორისო სანქციებს და საქართველოში გააგრძელონ ფუნქციონირება. ეს მარტო საქართველოს არ ახასიათებს, რუსეთის ფედერაციის სავაჭრო და სოციალური ინტერესები მრავალ სხვა ქვეყანაში გვხვდება, ევროპის აღმოსავლეთითაც კი .

თავი №4. რუსეთის ფედერაციის შიდა პოლიტიკა

სანქციები ეს არ არის მხოლოდ შეზღუდვები მთლიან სახელმწიფოზე, მის ინდუსტრიასა და ფინანსებზე, სანქციები შესაძლოა იყოს ,,ჭკვიანი" და მისი სამიზნეები იყვნენ კონკრეტული პირები, ეს იძლევა შესაძლებლობას თავიდან ავიცილოთ უდანაშაულო მოქალაქეების დარტყმის ქვეშ მოქცევა. რუსეთის შემთხვევაში სანქციები კომბინირებულია, დარტყმის ქვეშ მოხვდნენ კონკრეტული პირები და ზოგადად ქვეყნის ინდუსტრია, ეკონომიკა და ყველა ის სფერო რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ომის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის რომ უდანაშაულო ადამიანზე წნეხით შესაძლებელია ის უნებლიედ აღმოჩნდეს, რომელიმე ,,მხარეს".

4.1 ზეწოლა კონკრეტულ პირებზე: ინდივიდუალური სანქციები

სანქციების პოლიტიკის ერთ-ერთი პაკეტი მოიცავდა სანქციების კონკრეტული პირების წინააღმდეგ. ეს პირები პირობითად შეგვიძლია გამოვყოთ რამოდენიმე ჯგუფად, ,,გადაწყვეტილებების მიმღებთა ჯგუფი" ეს არიან პირები რომელებიც წარმოადგენენ როგორც საკანონმდებლო ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს (europian council council of europian union, 2023), მაგალითისათვის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რუსეთის ფედერაციის დუმის დეპუტატთა როგორც ზედა ასევე ქვედა პალატა, ომის მომხრე მედია საშუალებები და ა.შ. აგრეთვე სანქციები ვრცელდება სამხედრო დამნაშავეებზე, ეს პიროვნებები ითვლებიან ძირითადად სამხედროებად, მათი დანაშაული მდგომარეობს სასტიკ მოპყრობაში როგორც ტყვეების ასევე მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ, (europian council council of europian union, 2023), და ბოლოს რუსული ბანკები და კერძო სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ბანკები რომლებიც ფინანსურად უზრუნველყოფენ ომს, ან ეხმარებიან რუსეთის ფედერაციას სანქციებისათვის თვის არიდებაში. კერძო სამხედრო ორგანიზაციებს რაც შეეხება ეს არის ორგანიზაცია რომელიც წარმოადგენს კერძო პირის ,,ბიზნესს" ისინი ,,დაქირავებად იარაღად" შეგვიძლია განვიხილოთ. სია დასანქცირებული პიროვნებების ვრცელია, მასში გაერთიანებულია როგორც კონკრეტული პოლიტიკური ლიდერები ასევე ჩვეულებრივი ბიუროკრატიული სისტემის ნაწილები, შეზღუდვების მიზანია მოხდეს ზეწოლა ამ ადამიანებზე რათა მათ თავიანთი გადაწყვეტილებები შეცვალონ.

ომის დაწყებიდან რუსეთის ფედერაციაში ანტისაომარი პროტესტის ტალღა მხოლოდ 2022 წლის დასაწყისში შეინიშნებოდა, ძირითადა ამ პერიოდში პროტესტები დაკავშირებული იყო გაწვევასთან დაკავშირებით რადგან გაწვევა ომში მოუწიათ ისეთ პირებს რომლებსაც არ ეკუთვნოდათ. მაგრამ ჯამში ომის დაწყებამ მასობრივი პროტესტების ტალღა არ წარმოშვა, ასევე დაწესებულმა სანქციებმა არ იქონია გავლენა გადაწყვეტილებების მიმღებ პირებზე, ისინი აქტიურად განაგრძობენ თავიანთ

საქმიანობას, თანამდებობების შენარჩუნება და ,,პუტინის განრისხება“ უფრო დიდი საშიშროება მათთვის ვიდრე სანქციები.

კანონმდებლობის მხრივ მოხდა ძირეული ცვლილებები, დაწესდა შეზღუდვები რაც აკნინებს ადამიანის გამოხატვის და სიტყვის თავისუფლებას. რუსეთის ფედერაციაში 2022 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედდა კანონი ,,უცხოური გავლენის ქვეშ მყოფი პირების კონტროლის შესახებ“. მისი ჩანაფიქრით ყოველ პიროვნებას რომელიც ავრცელებს იმფორმაციას და მხარდაჭერილია საზღვარგარეთიდან ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ გააფრთხილოს საზოგადოება. *,,უცხოელი აგენტი კანონის მიხედვით, ეს არის პიროვნება რომელიც იღებს დახმარებას/მხარდაჭერას საზღვარგარეთიდან და მისი საქმიანობა შეეხება ინფორმაციის მოგროვებას რუსეთის ფედერაციის სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო სფეროში ან შეტყობინებების (ინფორმაციის) და მასალის გავრცელება შეუზღუდავი რაოდენობის პირთთვის“* (ФЕДЕРАЦИИ, 2022). კანონმა სრულიად შეზღუდა სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ელემენტები, ამიერიდან პიროვნებები ვალდებულნი იყვნენ შეეტყობინათ ვრცელი ტექსტით ყოველი თავიანთი გამოსვლის წინ რომ ისინი წამოადგენდნენ ,,უცხოური გავლენის აგენტებს“ (ФЕДЕРАЦИИ, 2022). ამით რუსეთის ფედერაციის საზოგადოებაში ხდებოდა მათი ნეგატიური სახით წარმოდგენა, რადგან სიტყვა ,,აგენტი“(მისი რუსული ვერსია) ნეგატიური დატვირთვის მატარებელი სიტყვა და ეს ცივი ომიდან მოყოლებული, როდესაც საბჭოთა კავშირში მკაცრად მიმდინარეობდა ,,დასავლური“ ჯაშუშური ქსელების წინააღმდეგ ბრძოლა, ხალხში დღემდე შემორჩა განსაკუთრებით მათში ვინც ცხოვრობდა საბჭოთა პერიოდის დროს. საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვის ამ ტაქტიკამ იმუშავა და ომის მსვლელობას შიდა დონეზე ხალხის მხრიდან ერთიანი წინააღმდეგობა არ აქვს, აქტიურები მხოლოდ ცენტრალური რუსეთის მაცხოვრებლები იყვნენ, მოსკოვის და სანკტ-პეტერბურგის მაცხოვრებლები გამოვიდნენ პროტესტით ომის წინააღმდეგ მაგრამ იგი 2-3 თვეში ჩაქრა, დანარჩენი პროტესტი კი მიმართული იყო უკმაყოფილებით სამხედრო გაწვევის მიმართ, ომი კი საერთოდ არ განიხილებოდა.

რაც შეეხება ,,გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს“ მათი დასანქციერების ეფექტურობა გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, ელიტას მეტად ეშინია იმ რისხვის რაც მათ შესაძლოა ელოდა იმ შემთხვევაში თუ ისინი წავლენ სახელმწიფო ინტერსების წინააღმდეგ ვიდრე ,,საზღვარგარეთული“ სანქციები. ომის დაწყებიდან მალევე 6 ოლიგარქმა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ისეთ სახელმწიფო ნავთობ კომპანიებთან როგორიც არის ,,Gazprom“ და ,,Lukoil“ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრეს თავიანთ ოჯახებთან ერთად. ამ მოვლენას წინ უძღვოდა მათი ანტი-საომარი განხცხადებები: ***,,წლის დასაწყისში კომპანიამ უჩვეულო საჯარო განცხადება გააკეთა ომთან დაკავშირებით, ისინი რუსეთის მიერ დაწყებული ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მოუწოდებდნენ თანაგრძნობისაკენ და სიმპათისაკენ ომში დაზარელებულთა მიმართ და ასევე ომის დამთარებისაკენ“*** (Kottasová, 2022).

მათი სიკვდილი კი გაურკვეველ მდგომარეობაში მოხდა, ზოგიერთი შემთხვევა კი ბადებს კითხვის ნიშნებს, რატომ უნდოდა მამაკაცს თავის ოჯახის, შემდგომ კი თავისი თავის მკვლელობა და ზუსტად თავისი განცხადებების შემდეგ? რაც ცალკე საკვლევი საკითხია. მაგრამ უმრავლესობა ისინი ვინც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს მეტად თავის სოციალურ სტატუსზე არის დამოკიდებული, ომის წინააღმდეგ წასვლა მათ შესაძლოა ძვირად დაუჯდეთ, პატიმრობა ან ყველაფრის დაკარგვა რაც მათ აქვთ. შედეგად ქვეყნის შიგნით რეჟიმი ინარჩუნებს სიმშვიდეს, შიშის და კონტროლის წყალობით, ომმა და იზოლაციამ ხელები გაუხსნა ხელისუფლებას დევნა და დაპატიმრება დაეწყო ოპოზიციური ელემენტების, მრავალი მათგანი გაიქცა მეზობელ სახელმწიფოებში და იქიდან აგრძელებს ბრძოლას, თუნდაც ავიღოთ ერთ-ერთი ოპოზიციური არხი ,,Дождь“ ომის დაწყებიდან მალევე იგი გამოცხადდა ,,უცხოურ აგენტად“ და არხი ამჟამად მთლიანად გადასულია ლატვიაში და იქიდან აგრძელებს მაუწყებლობას.

4.2 რუსეთის მოქალაქეების პოზიცია ომის მიმართ

მაგრამ მთლიანი ქვეყანა ხომ არ არის სამხედროებისაგან, ბიუროკრატებისაგან, პოლიტიკოსებისაგან, სახელმწიფო მოხელეებისაგან შემდგარი, მასში უმრავლესობას ხალხი ქმნის სწორედ საინტერესოა ასევე სანქციების მიუხედავად რატომ ჩაქრა ოპოზიციური მუხტი ჩვეულებრივი რუსის გულში, თუ გავითვალისწინებთ რომ რუბლმა ვარდნა განიცადა, ინფლაცია მიმდინარეობს და უცხოურ საქონელზე წვდომის შეზღუდვა?

მე უკვე ვისაუბრე ვრცლად საკანონმდებლო ცვლილებებზე წინა თავში ამიტომ აქ ყურადღებას არ გავამახვილებ მასზე, მეტად აქცენტს გავაკეთებ სხვა გარემოებებზე. რუსეთის ფედერაციის მედია ომის დაწყებიდან აქტიურად ახდენს ე.წ. სპეციალური ოპერაციის (ასე უწოდებენ ისინი რუსეთ - უკრაინის ომს) მორალურად გამართლებას. ეს რუსეთისათვის ახალი მოვლენა არ გახლავთ, ხელისუფლება ცდილობს გაავლოს პარალელები ისტორიასთან, თუ ოდესმე ყოფილხართ რუსეთში შეამჩნევდით რომ ყოველ ქალაქში არის მინიმუმ 3-4 ძეგლი მეორე მსოფლიო ომის საპატივსაცემოდ, 9 მაისის აღლუმი და ა.შ. ,,აზოვსტალის“ მებრძოლების ტყვედ აყვანის შემდგომ გავრცელდა კადრები თუ როგორ ჩანს მებრძოლების ტანზე ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის სიმბოლიკები და ,,ციტატები“ (Колесникова, 2022). ვიდეოზე და ფოტომასალაზე აღბეჭდილი ტყვეების ტანზე აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა სახის წარწერა და სიმბოლო, რუსულმა მედიამ მალევე აიტაცა ეს ფაქტი, მებრძოლები გამოცხადებულნი იქნენ ულტრა მემარჯვენე იდეოლოგიის მიმდევრებად, აგრეთვე აღნიშნულია ,,აზოვის ბრიგადის“ ემბლემა რომელიც აღებულია უკრაინის ,,ულტრანაციონალისტთა“ პარტიის ემბლემიდან, ზოგადა ამ ბრიგადის ძირითად ნაწილს ამ პარტიის წევრები შეადგენდნენ, უკრაინულ საბრძოლო ტექნეკაზე გამოსახულია ,,რკინის ჯვრები“ რომელიც გამოიყენებოდა გერმანიის მიერ პირველ და მეორე მსოფლიო ომის დროს, და ბოლოს ფრონტის ხაზიდან გადმოგზავნილი ფოტო მასალებში აღბეჭდილი სხვადასხვა სახის სიმბოლოები და წარწერები რაც აჩენენ კითხვის ნიშნებს

დასავლეთში ავტენთურობასთან დაკავშირებით მაგრამ კარგად მუშაობს რუსეთში ,,მასებზე“.

კოკა-კოლამ 2022 მარტში განაცხადა რუსული ბაზრიდან გასვლის თაობაზე და არა მარტო კოკა-კოლამ, უდიდესმა უმრევლესობამ საერთაშორისო ბრენდების მოახდინეს რუსული ბაზრიდან გასვლა, ომის მსვლელობის დასაწყისში ეს ჩანდა როგორც კატასტროფა რუსი მოქალაქისათვის რომლისთვისაც უწინდელი რუტინული კომფორტი მოულოდნელად გაქრებოდა, მაგრამ აი უკვე ორ წელზე მეტია ომი მიმდინარეობს და რუსეთის ფედერაციაში მაინც შეხვდები კოკა-კოლას, ჩაჯდები ახალ მერსედესში, ჩაიცვამ გუჩის ან პრადას.

კოკა-კოლის გასვლის მიუხედავად, იგი არ გამქრალა იგი იმპორტირებულ საქონლად გარდაიქმნა და შემოდის რუსეთში მოსაზღვრე ქვეყნებიდან (Панкратова, 2023). 2023 წლის ოქტომბერში ვიზიტისას მე პირადად დავრწმუნდი ამ ფაქტში, დახლები გადავსებული იყო სხვადასხვა პროდუქციით როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი, კი არის რიცხვი პროდუქციის რომლის ყიდვაც შეუძლებელია მაგრამ იგი ჩანაცვლებული რაიმე სხვა ანალოგიური ოღონდ სხვა ფირმის პროდუქციით, რუსეთის მოქალაქისათვის ამ ეტაპისათვის სანქციები მხოლოდ საზღვარგარეთული გადარიცხვების და ინტერნეტ შესყიდვების მხრივ იგრძნობა და მაინც ხდება მათთვის თავის არიდება მესამე ქვეყნების მეშვეობით ტრანზაქციების დახმარებით, მაგალითად ყაზახეთი, რომელშიც 300% გაიზარდა ტრანზაქციათა რაოდენობა რუსეთიდან (Широков, 2023). შედეგად ის დისკომფორტი რაც უნდა გაჩენლიყო რუსეთის მოქალაქისათვის ჯერ-ჯერობით არ არის იმ დონემდე მისული რომ წარმოშვას მასიური საპროტესტო ტალღა სოფლად მცხოვრები ადამიანისათვის კი ეს მოვლენები ნაკლებად საინტერესოა ან ინფორმაცია მეტად შეზღუდული. ერთადერთი რაც დისკომფორტია რუსეთის მოქალაქისათვის ეს არის ვალუტის გაუფასურება და ინფლაცია რაც მეტნაკლებად მისაღებ დონეზე ნარჩუნდება ხელისუფლების მიერ.

დასკვნა

ამ ეტაპზე რთულია დარწმუნებით თქმა რა იქნება მომავალში, ომი ეს ცოცხალი პროცესია და მცირედმა შეცდომამ ან წარმატებამ შესაძლოა გარდამტეხი ეფექტი მოუტანოს მებრძოლ მხარეებს. სანქციების ეფექტურობა ეს დროის ამბავია, მითუმეტეს ისეთი სახელმწიფოსათვის როგორიც რუსეთის ფედერაცია არის, ამიტომ მე გავამახვილე ყურადღება რუსეთის მხრიდან სანქციების განეიტრალების გზებზე. შესწავლილმა მეორადმა წყაროებმა დაადასტურა საკვლევი ჰიპოთეზა, ამ ეტაპისათვის კვლევა აჩვენებს იმ ხარვეზებს რაც არის სანქცირების პოლიტიკის მიმართ, ის ,,ხვრელები“ და შეცდომები რაც აძლევს რუსეთის ფედერაციას შეამციროს ეკონომიკური და პოლიტიკური წნეხი მის ქმედებების საპასუხოდ. საერთაშორისო სანქციებმა ვერ წარმოშვა საჭირო წნეხი ამ ეტაპისათვის მოსკოვი კვლავინდებურად ცდილობს მიაღწიოს რაიმე სახის ,,მოგებას“ ამ ომში. მოკავშირეების არსებობა ირანის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის და ჩინეთის სახით მას უზრუნველოყოფს საჭირო მატერიალური რესურსით ომის გასაგრძელებლად და B.R.I.C.S - ის ამჟამინდელი გაფართოება რომელსაც შეემატა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად ძლიერი თვისებების მქონე წევრთა ჯგუფი, ყოველი ეს მოვლენა საჭიროებს ყურადღების გამახვილებას. შიდა პოლიტიკური მდგომარეობით სანქციები ვერ წარმოშობენ წნეხს ინდივიდებზე პოლიტიკური რეჟიმიდან გამომდინარე რომელსაც ნახევრად იზოლაციის პირობებში ,,ხელები აეხსნა“ ადამიანის უფლებების და გამოხატვის თავისუფლების გამკაცრებაში, მედია ,,შიდა ბაზარზე“ მაქსიმალურად ცდილობს ლეგიტიმაციის და დადებითი აზრის გავრცელებას მოსახლეობაში მაგალითად უკრაინული ულტრა-მემარჯვენე სიმბოლიკის ,,გამოაშკარავების“ და გაკრიტიკების მეშვეობით, რაც ჯამში ომის ლეგიტიმაციის ზრდას უწყობს ხელს რუსეთის შიგნით.

ბიბლიოგრაფია

Levi, I. (2023, 12 21). *November 2023 — Monthly analysis on Russian fossil fuel exports and sanctions.* Retrieved 01 01, 2023, from Centre for Research on Energy and Clean Air : https://energyandcleanair.org/november-2023-monthly-analysis-on-russian-fossil-fuel-exports-and-sanctions/

europian council council of europian union. (2023, 04 14). Retrieved 04 24, 2023, from https://www.consilium.europa.eu/en/: https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia-over-ukraine/sanctions-against-russia-explained/

Egypt, Iran, Saudi Arabia, UAE, Ethiopia formally join BRICS. (2024, 01 01). Retrieved 01 03, 2024, from Daily news egypt: https://www.dailynewsegypt.com/2024/01/01/egypt-iran-saudi-arabia-uae-ethiopia-formally-join-brics/

Afesorgbor, S. K., & Bergeijk, P. A. (2022, 04 01). *theconversation.* Retrieved 04 14, 2023, from https://theconversation.com/: https://theconversation.com/economic-sanctions-will-hurt-russians-long-before-they-stop-putins-war-in-ukraine-178009

Al Jazeera. (2024, 01 04). *Russia used North Korean missiles in Ukraine, US says.* Retrieved 01 09, 2024, from Al Jazeera: https://www.aljazeera.com/news/2024/1/4/russia-used-north-korean-missiles-in-ukraine-us-says

baker, p. (2023, 10 13). North Korea Shipped Arms to Russia for Use in Ukraine, U.S. Says. New york.

bergeijk, p. A. (2022, 03 18). *researchgate.net.* Retrieved 04 14, 2023, from researchgate: https://www.researchgate.net/publication/359392645_Economic_sanctions_and_the_Russian_war_on_Ukraine_a_critical_comparative_appraisal

Cooban, A. (2023, 04 17). *cnn.* Retrieved 05 22, 2023, from https://edition.cnn.com/: https://edition.cnn.com/2023/04/14/energy/russia-oil-exports-iea-report/index.html

datalab. (2020). *უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში: 2020*. Retrieved 06 18, 2023, from datalab: https://www.datalab.ge/ge/dataview/v/1580/?chart_type=pie_chart

datalab. (2021). *უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში: 2021*. Retrieved 06 18, 2023, from datalab: https://www.datalab.ge/ge/dataview/v/1581/?chart_type=pie_chart

datalab. (2021). *უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში: 2020*. Retrieved 06 18, 2023, from datalab: https://www.datalab.ge/ge/dataview/v/1584/?chart_type=pie_chart

datalab. (2021). *უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში: 2021*. Retrieved 06 18, 2023, from datalab: https://www.datalab.ge/ge/dataview/v/1585/?chart_type=pie_chart

datalab. (2022). *უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში: 2022*. Retrieved 06 18, 2023, from datalab: https://www.datalab.ge/ge/dataview/v/1582/?chart_type=pie_chart

datalab. (2022). *უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში: 2022*. Retrieved 06 18, 2023, from datalab: https://www.datalab.ge/ge/dataview/v/1586/?chart_type=pie_chart

Essen, H. v. (2023, 07 05). *Russia-China Economic Relations Since the Full-Scale Invasion of Ukraine.* Retrieved 01 09, 2024, from The Stockholm Centre for Eastern European Studies: https://sceeus.se/en/publications/russia-china-economic-relations-since-the-full-scale-invasion-of-ukraine/

Geranmayeh, E., & Grajewski, N. (2023, 09 6). *Alone together: How the war in Ukraine shapes the Russian-Iranian relationship.* Retrieved 01 09, 2024, from European council on coreign relations: https://ecfr.eu/publication/alone-together-how-the-war-in-ukraine-shapes-the-russian-iranian-relationship/#top

Gutmann, J., Neuenkirch, M., & Neumeier, F. (2022, 11). *https://www.cesifo.org.* Retrieved 04 14, 2023, from cesifo: https://www.cesifo.org/DocDL/cesifo1_wp10100.pdf

Hafezi, P., & Astakhova, O. (2023, 05 17). *Russia and Iran sign rail deal for corridor intended to rival Suez Canal.* Retrieved 05 21, 2023, from https://www.reuters.com: https://www.reuters.com/world/russias-putin-irans-raisi-oversee-railway-deal-signing-2023-05-17/

Horti, S. (2023, 05 21). *bbc.* Retrieved 05 21, 2023, from www.bbc.com: https://www.bbc.com/news/world-europe-65662563

Kaczmarski, M. (2022, 04 01). *jstor.* Retrieved 04 14, 2023, from www.jstor.org: https://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2443/stable/resrep40454?searchText=the+war+in+ukraine+and+the+future+of+russian-china&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dthe%2B%2Bwar%2Bin%2Bukraine%2Band%2Bthe%2Bfuture%2Bof%2Brussian-china&ab_segments=0%2F

Kammer , A., Azour, J., Selassie, A. A., Goldfajn, I., & Rhee, C. Y. (2022, 03 15). *How War in Ukraine Is Reverberating Across World's Regions.* Retrieved 01 06, 2024, from IMF Blog: https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2022/03/15/blog-how-war-in-ukraine-is-reverberating-across-worlds-regions-031522

Kessler, E. (2022, 03 01). *jstor.* Retrieved 04 14, 2023, from www.jstor.org: https://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2443/stable/resrep42021?searchText=working+paper+how+economic+sanctions&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dworking%2Bpaper%2Bhow%2Beconomic%2Bsanctions&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&refreqid=fa

Kim, E., & Victor, C. (2023, 09 13). Summit between Kim Jong-un and Vladimir Putin.

Kottasová, I. (2022, 09 02). *At least eight Russian businessmen have died in apparent suicide or accidents in just six months.* Retrieved 05 23, 2023, from https://edition.cnn.com/: https://edition.cnn.com/2022/09/02/business/russian-oligarchs-deaths-intl/index.html

Lister, T. (2023, 04 28). *he Iranian drones deployed by Russia in Ukraine are powered by stolen Western technology, research reveals.* Retrieved 05 22, 2023, from edition.cnn.com: https://edition.cnn.com/2023/04/28/world/iran-drones-russia-ukraine-technology-intl-cmd/index.html#:~:text=Last%20October%2C%20the%20head%20of,already%20scarce%20anti%2Daircraft%20defenses.

Lopez, G. A., & Cortright, D. (2004). Containing Iraq: Sanctions Worked. *Foreign Affairs Vol. 83, No. 4*, 97-98.

Mamdouh, A. (2023, 09 21). *What is BRICS Gold-Backed Currency.* Retrieved 11 14, 2023, from BTC: https://btcegyptgold.com/what-is-brics-gold-backed-currency/

Ng, K. (2023, 01 27). North Korea: Kim Jong Un shows off missiles to Russia defence chief Shoigu.

Onur , T. K., & Eshraghi, A. (2022, 04 25). *Finance Research Letters 48 (2022) 102920.* Retrieved 11 10, 2023, from https://www.elsevier.com/locate/frl: https://www.sciencedirect.com/journal/finance-research-letters

peace, u. s. (2023, 04 25). *united states institute of peace.* Retrieved 05 22, 2023, from https://www.usip.org/: http://iranprimer.usip.org/blog/2023/feb/24/iran%E2%80%99s-deepening-strategic-alliance-russia

pfizer. (2023, 05 11). *Global and U.S. Agencies Declare End of COVID-19 Emergency.* Retrieved 01 09, 2023, from pfizer: https://www.pfizer.com/news/announcements/global-and-us-agencies-declare-end-covid-19-emergency

portela, C., & Kluge, J. (2022, 11 08). *jstor.* Retrieved 04 14, 2022, from www.jstor.org: https://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2443/stable/resrep44887?searchText=slow+acting+tools+evaluating+eu+sanctions&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dslow%2Bacting%2Btools%2Bevaluating%2Beu%2Bsanctions&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol

Prange, A. (2023, 04 10). *A new world order? BRICS nations offer alternative to West.* Retrieved 05 24, 2023, from https://www.dw.com/en/top-stories/s-9097: https://www.dw.com/en/a-new-world-order-brics-nations-offer-alternative-to-west/a-65124269

Qureshi, A., Rizwan, M. S., Ahmad, G., & Ashraf, D. (2022, 06 02). *www.sciencedirect.* Retrieved 11 10, 2023, from Finance Research Letters: https://www.sciencedirect.com/journal/finance-research-letters

Savage, R. (2023, 08 24). *What is a BRICS currency and is the U.S. dollar in trouble?* Retrieved 01 20, 2024, from Reuters: https://www.reuters.com/markets/currencies/what-is-brics-currency-could-one-be-adopted-2023-08-23/

U.S.Departament of state. (n.d.). Retrieved 05 22, 2023, from https://www.state.gov/: https://www.state.gov/iran-sanctions/

Ильинична, с. А. (2020). неоколониализм XXl века: глобализм и мир-системность. *теоретическая экономика*.

Колесникова, Е. (2022, 05 21). *Тату со свастикой и цитатами Гитлера: Минобороны показало видео со сдавшимися на "Азовстали" украинскими боевиками.* Retrieved 11 14, 2023, from LIFE: https://life.ru/p/1495872

Панкратова, И. (2023, 07 12). *Coca-Cola ушла из России, но не исчезла из магазинов. Кто теперь зарабатывает на ее продаже в стране?* Retrieved 11 14, 2023, from THE BELL: https://thebell.io/coca-cola-ushla-iz-rossii-no-ne-ischezla-iz-magazinov-kto-teper-zarabatyvaet-na-ee-prodazhe-v-rossii

Т.Л, Д. (2018). неоколониализм или win-win стратегия? *трансвформация: политика, экономика, право*, 119-141.

ФЕДЕРАЦИИ, Г. Д. (2022, 12 01). *Как будет работать закон об иноагентах.* Retrieved 05 23, 2023, from ГОСУДАРСТВЕННАЯ ДУМА ФЕДЕРАЛЬНОГО СОБРАНИЯ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ: http://duma.gov.ru/news/55879/

Широков, А. (2023, 05 05). *Россияне на 300% увеличили вывод средств в Казахстан.* Retrieved 11 14, 2023, from Деловой Квартал: https://www.dk.ru/news/237183606

აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.* თბილისი: სოციალური მეცნიერებათა ცენტრი.

მაქაცარია, ს. (2022, 11 22). *საქართველოში რუსული ნავთობის იმპორტი 375%-ით გაიზარდა.* Retrieved 05 22, 2023, from https://euronewsgeorgia.com/: https://euronewsgeorgia.com/2022/11/22/sakartveloshi-rusuli-navtobis-importi-375-it-gaizarda/

მღებრიშვილი, ვ. (2022, 11 23). *10 თვეში ფქვილის იმპორტი რეკორდულად გაიზარდა - რამდენით შემცირდა ხორბლის იმპორტი?* Retrieved 05 22, 2023, from https://bm.ge/ka/: https://bm.ge/ka/article/10-tveshi-fqvilis-importi-rekordulad-gaizarda---ramdenit-shemcirda-xorblis-importi/121265/

დანართი

დანართი 1

ჩინეთ-რუსეთის სავაჭრო ბრუნვა; ექსპორტი და იმპორტი



დანართი 2

ჩინეთის ექსპორტი უმსხვილესი კატეგორიების მიხედვით



დანართი 3

2023 წლის ნოემბრის თვის სტატისტიკა რუსული წიაღისეულის მყიდველების.



უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში და იმპორტში 2020

დანართი 4



წყარო: www.datalab.ge

დანართი 5



წყარო: www.datalab.ge

უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში და იმპორტში 2021

დანართი 6



წყარო: www.datalab.ge

დანართი 7



წყარო: www.datalab.ge

უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში და იმპორტში 2022

დანართი 8



წყარო: www.datalab.ge

დანართი 9



წყარო: www.datalab.ge

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა მოქალაქეობის მიხედვით: 2015-2022

დანართი 10

წელი	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთის ფედერაცია	თურქეთი
2015	36.7	99.31	96.34	63.58	89.5
2016	35.77	96.01	89.65	70.77	82.35
2017	38.01	107.26	108.46	94.58	83.93
2018	39.69	105.74	118.71	117.06	91.54
2019	40.73	113.75	127.21	122.62	96.37
2020	11.69	21.74	24.59	17.38	27.96
2021	12.62	13.72	6.89	17.74	27.2
2022	24.61	61.88	12.74	90.6	77.13